სერგო ბერაიმ, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე თბილისში ყოფნისას (იგი ბატონმა ალიოშა ხურცილავამ გამაცნო), სხვადასხვა ეპიზოდთან ერთად, ისიც მიაშრო, 50-იანი წლების დასაწყისში როგორ ესტუმრა მათ სახლში მოულოდნელად სტალინი, იქაურთა მითვალისწინებით მოთვალისწინებდა და სწრაფადვე წავიდა ისე, რომ ვერ მიხვდნენ ესოდენ უჩვეულო ვიზიტის მიზეზს, მით უფრო, რომ მელადას უკვე წლების მანძილზე ფეხი არ დაედგა მათთან. ბატონი სერგო მიზეზს ვერ ხვდებოდა, მაგრამ ეს სტუმრობა მასობრიობაში მყარად ჩარჩენილი და ვარაუდობდა, ამას რაღაც ფარული მიზანი ჰქონდაო.

ჩემი აზრით, აკაკი მგელაძისა და სერგო ბერაის ნაამბობთა შეჯერება ყველაფერს ნათელს ჰფენს: სტალინმა თავად შეამოწმა მის ყურამდე მისული ცნობა – დაათვალიერა, თუ რამდენად „ნამდვილ ბურჟუასივით“ იყო მოწყობილი ცუკას პრეზიდენტის წევრი და რაკი რაიმე ავი ამას არ მოჰყოლია, ალბათ, დარწმუნდა, რომ ცნობა, როგორც მაშინ იტყოდნენ, „სინამდვილეს არ შეესაბამებოდა“.

რაც შეეხება იმას, თუ რატომ იყო სტალინი ასე გულახდილი აკაკი მგელაძისთან, ვილაც უმნიშვნელო პარტიულ ფუნქციონერთან – აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან, შეიძლება აიხსნას: მას მოსწონდა ეს მიზანსწრაფული, მონდომებული კაცი, რომელიც გამოწვევით უკაცლავდა ხოლმე ყველაფერს, რაც საქართველოში ხდებოდა და რაც ასე ძირითადად განსხვავდებოდა ოფიციალური არხებით მიღებული ცნობებისაგან. მოსწონდა და რესპუბლიკაში საპირველკაციოდ ჰყავდა მეგრულენოვანი. ამბობენ, მან აკაკი მგელაძეზე თქვა, ჩემს ახალგაზრდობას მაგონებსო.

და მაინც, ყველაფერი ამის მიუხედავად, რაც უკვე ვთქვით, მთლად მართებულად არ მიმაჩნია მტკიცება, რომ 1951 წელს სტალინმა გადაწყვიტა ბოლო მოეღო ბერაის ძალაუფლებისთვის და ამის პირველი ნიშანი იყო სახელმწიფო უშიშროების მინისტრის ვ. აბაქუშვილის გადაყენება, რომელიც დროთა განმავლობაში ლავრენტის ხელის ბიჭად იქცა და მის ადგილზე ლ. ბერაისა და გ. მაღვლეკოვის მიმართ მტრულად განწყობილი სემიონ იგნატიევის დანიშვნა. „სახელმწიფო უშიშ-



უზარმაზარი გამოცდილება ჰქონდა (რამდენი ბერაიზე უფრო მნიშვნელოვანი ფიგურა გააქრო!). ამას ისიც გააიოლებდა, რომ N2 ქართველი რუსეთში დიდად არავის ეხატებოდა გულზე.

განა სულ რაღაც ერთი წლით ადრე, 1950 წლის 7 დეკემბერს არ დახვრიტეს სკკპ (ბ) ცკ-ის პოლიტბიუროს წევრი, სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. ვოზნეცისკი, სკკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს წევრი, კუმნეცოვი, სკკპ (ბ) ცკ-ის ორგბიუროს წევრი რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. როდიონოვი და ლენინგრადის მთელი პარტიული ხელმძღვანელობა და სრულიად გაურთულებლად „გადააყლაპეს“ საბჭოთა საზოგადოებას „ლენინგრადის საქმე“?

არ ღირს მარჩიელობა, მოსკოვიდან მიეცა „მეგრელთა საქმეს“ მიძივი თუ თბილისიდან, რა ედო სარჩულად – მართლა „ვიწრო ნაციონალიზმთან ბრძოლა“ და პარალელურად N2 ქართველის ქვეყნის მესაჭეობიდან მოცილების სურვილი თუ ადგილობრივი ფალსიფიკატორების ხელისუფლებისათვის ბრძოლის ანგარიშები მიზნები...

ალბათ, ორივე ერთად. ინტერესთა თანხედრა პირდაპირ უნახივით ჰყოფს თავს იმ პერიოდის ისტორიული მოსახვედებიდან.

დაბოლოს, ერთი საინტერესო, მოულოდნელი და დამაინტრიგებელი, ოღონდ, ჩემი აზრით, არცთუ მაინცდამაინც ანგარიშგასაწევი ვერსია, პავლე სუდოპლატოვის ზემოთ დასახელებული წიგნიდან: „იმ დროს სახელისუფლებო წრეებში დადიოდა ხმა, ბერაის ვაჟი სერგო სტალინის ქალიშვილის სვეტლანას ცოლად მოყვანას აპირებს, უდანაოვის ვაჟთან მისი განქორწინების შემდეგო. ბერაის მდივანმა ლუდვიგოვმა, რომელმაც ეს ამბავი მიამბო ვლადიმირის ციხეში, მითხრა, ბერაის მეუღლე ნინა და თვით ბერაი ამ ქორწინე-

თა რუხაძე მიხვდარიყო, რომ ის გალდებული იყო, შეთქმულება გამოეცხა“.

როგორც ვხედავთ, ერთობ აბლაბუდა ვერსიაა, მაგრამ იგი, გინდა-არ გინდა, არსებობს. ამდენად, რატომ მიეჩქმალათ?

ასე დაიწყო

ასე იყო თუ ისე, საზოგადოებრივი საპროპაგანდო სახელმწიფო უშიშროების მინისტრ ნიკოლოზ რუხაძესა და სსრკ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროდან მის ფიგურაზე გადამცდა. ოფიციალურად სწორად მათ დამატებით „მეგრულ ნაციონალისტთა“ შესახებ პროპაგანდული გამო-

ლა. ბერაის 1953 წლის 8 აპრილის წერილში სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმისადმი „ე. წ. მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის საქმის არასწორი წარმოების შესახებ“ (მასზე ვრცლად ქვემოთ ვილაპარაკებთ), ნათქვამია, რომ ნიკოლოზ რუხაძემ, რომელიც დიდი ხნის მანძილზე ისახავდა დანაშაულებრივ კარიერისტულ მიზნებს, როგორც კი დაიკავა საქართველოს სსრ უშიშროების მინისტრის პოსტი, ყოველნაირად ხელი შეუწყო არაქანსალი ატმოსფეროს შექმნას ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკების ურთიერთობაში. 1951 წლის შემოდგომაზე ნ. რუხაძემ საქართველოში დასახვეწებლად მოიწვია სტალინს ცრუ ინფორმაცია მიწოდდა საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში საქმეთა მდგომარეობის შესახებ. პარტიულ და სამეურნეო ორგანოებში ნაკლოვანებების არსებობა წარმოუდგინა, როგორც მის მიერვე გამოვლილი მეგრული ნაციონალისტური ჯგუფის ძირგამომხრელი მტრული



სიფიკაციას წინ უძღოდა მ. ბარამიასა და ნ. რუხაძეს შორის გახმაურებული კონფლიქტები. ცკ-ის მეორე მდივანი ამხილებდა უშიშროების მინისტრის თვითნებობასა და უსამართლობას სამინისტროს კადრების მიმართ. არაკოლეგური დამოკიდებულება იყო აგრეთვე მისა ბარამიასა და აკაკი მგელაძეს შორის, რაც აგრეთვე დაკავშირებული იყო კადრების საკითხთან, კომიტეტმა უსაფუძვლოდ დასაჯა ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი. ყოველივე ამით არ შეიძლებოდა აკაკი მგელაძე ნაწყენი არ ყოფილიყო. ასე მოხდა ა. მგელაძესა და ნ. რუხაძეს შორის ინტერესთა თანხვედრა.

ნიკოლოზ რუხაძე დაიბადა 1905 წელს გარდაბანში, გლეხის ოჯახში. მიღებული ჰქონდა საშუალო განათლება (ანკუბში აჩვენებდა, ჰუმანიტარული ტექნიკური მაქვს დამთავრებულიო).

ოცდაათიან წლებში ნელა, მაგრამ გეჟითად მიიწევდა იერარქიის გზაზე. თუ 1928 წელს უკვე საილუმო განყოფილების რიგითი მუშაკი იყო, 1932 წელს უკვე საილუმო პოლიტიკური განყოფილების უფროსია. ტოტალური დაპატიმრებისა და რეპრესიების პერიოდში მაიორ ნ. რუხაძეს გაგრაში, შინსახკომის ადგილობრივი განყოფილების უფროსის პოსტზე მოუწერო. არსებობს მისი მაშინდელი მოადგილის ვ. ვასილიევის 1938 წ. თეგრელოს პატივი საქართველოს შინაგან საქმეთა სახალხო კომისიის სერგო გოგლიძისადმი, სადაც აღწერილია, თუ როგორ აწამებდნენ პატიმრებს ნ. რუხაძის ხელმძღვანელობით (მაგალითად, ეროვნებით გერმანულ ლეტკემანს, რომელიც თურმე „მფარველობდა და ხელს უშლიდა მეფუტკრეობის განვითარებას“, ამიშვლებდნენ, საათობით სცემდნენ, ურტყამდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ, თოკის ყულზე უჭერდნენ სასქესო ორგანოებზე და ქაჩავდნენ... რუხაძე თავის ხალხს უბრძანებდა, ვინც არ ურტყამს, ის თვითონაა მტერიო. ესტონელი პატიმარი, რომელიც „გერმანელებთან თანამშრომლობაში იყო შემწეული“, დაკითხვისას მოკლეს – ვეფა გაუხეთქეს).

ამ პატაკს არავინ ყრადღებდა არ მიაქცია, პირიქით, ნ. რუხაძე დაანინაურეს და საქართველოს შინსახკომის საგანმომილო ნაწილის უფროსად გადმოიყვანეს. იგი ძალიან არ უყვარდა შს სახალხო კომისარს ავქსენტი რაფაეას, რომელიც ლენინგრადში გადაყვანილი სერგო გოგლიძის ადგილზე დანიშნეს. ბუნებრივია, ნ. რუხაძეც ა. რაფაეას სიძულვილით იყო განმსჭვალული. მას ეს კაცი 1939 წლის შემდეგ არ დაენახებოდა, როცა კინალამ წმენდის მსხვეპლი არ გახდა სწორედ რაფაეას მხილვებთა გამო. მაშინ ის ს. გოგლიძის ჩარევამ გადაარჩინა.

მაგრამ მათ დიდხანს არ მოუწიათ ერთად მუშაობა. შინსახკომი ორად გაიყო, უშიშროების სახკომად ა. რაფაეა დაინიშნა, შს სახკომად – ნ. რუხაძე. მაგრამ ესეც დროებითი გამოდგა.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №47-48, 50-51



ნ. რუხადიევა მუშაობდა პიანოზე

დიდი სამამულო ომის დანაშაულის 6. რუხადიევა თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის საგანგებო განყოფილების უფროსის გენერალ ვიქტორ აბაკუშვილის უწყებებში (სამხედრო კონტრდაზვერვაში) – ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის საგანგებო განყოფილების უფროსად გადაიყვანეს, სადაც 7 წელი იმსახურა.

საკვირველი რაღაცაა, რომ როგორც კი სახელმწიფო უშიშროების მინისტრად დანიშნეს, რუხადიევა მაშინვე დაიწყო ამ სისტემიდან რაფაელ ხალხის გაყრა. მაგრამ აქ საქ. კ(მ) ცკ-ის მეორე მდივნის მ. ბარამიას წინააღმდეგობას წააწყდა. ამას „კომპრომატების ომი“ მოჰყვა, რადგან როგორც რუხადიევა, ისე რაფაელს ბიოგრაფიაში ბევრი „მრუდი“ ჰქონდათ. აბაკუშვილის დამხმარე ძალზე შეაშფოთა რუხადიევა. 1952 წ. 6 აგვისტოს სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის სემიონ ივანოვი სახელზე დაწერილ განცხადებაში მისა ბარამია წერს: ყველა იცის, რაოდენ ახლო ურთიერთობა იყო რუხადიევა და აბაკუშვილი შორის. მაგრამ როგორც კი აბაკუშვილის მოხსენა გაიკითხა, რუხადიევა თვალსა და ხელს შუა გამოიყვანა და დაიწყო მტკიცება, თითქმის აბაკუშვილი მას ლანძღავდა და საერთოდ ცუდი ურთიერთობა ჰქონდათ. რუხადიევის ამ განცხადებამ უშიშროების სამინისტროს თათბირზე, სადაც ს(მ) ცკ-ის 1951 წლის 11 ივლისის დახურული წერილის განხილვა მიმდინარეობდა, დამსწრეთა ისტერიული სიცილი გამოიწვია.

6. რუხადიევა მაღალი მფარველების ძეგნას შეუდგა, რათა საჭიროების შემთხვევაში შემდეგ ჰყოლოდა. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო კანდიდ ჩარკვიანის იმედი ჰქონოდა, მაგრამ უფრო შორს გათვალა და აფხაზეთის საოლქო და სოხუმის საქალაქო კომიტეტების პირველ მდივანს აკაკი მგელაძეს ჩაუძვრა სულში, რომელიც 40-იანი წლების ბოლოს სტალინის ერთ-ერთი ფავორიტი გახდა. ეს დაახლოება ორივე მხარის საიდუმლო ზრახვებისა და ინტერესების შედეგი იყო.

სხვათა შორის, ამ ეგოისტის, კაცთმოძულე, ცივ აღაშინას პირადი ცხოვრებაც ერთობ მოუწესრიგებელი ჰქონდა. 1948 წელს ცოლად მოიყვანა (მანამდე, მეუღლის – ანდრომედა ლაბარდის ტუბერკულოზით გარდაცვალების შემდეგ, მარტოხელად ცხოვრობდა 6 წლის გოგონასთან ნინასთან ერთად) უმაღლესი კვალიფიკაციის საოპერო კონცერტმასტერი, კონსერვატორიის პროფესორი, საქართველოს სახალხო არისტოკრატისა და ლენინის პატივების შემდეგ საგანგებოდ ჩაუწერეს, მეფის არმიის პოლკის უფროსის ქალიშვილი და გენერლის შვილიშვილი იყო. ეს ქალი მანამდე ჯერ გათხოვილი იყო საქართველოს სსრ სახალხო არტისტ ლადო კავსადიშვილს (გასცილდა 1929 თუ 1930 წელს), 1934 წელს გაჰყვა საქართველოს სახელმწიფო პოლიტსამმართველოს უფროსის დავით კილაძის პირად მდივანს გ. არუთიანს, რომელიც 1937 წელს დააპატიმრეს და ორი დღის შემდეგ ციხეში, უფრო სწორად, გამოძიებულ ალექსანდრ ხაბანის კაბინეტში გარდაიცვალა (გასაგებია რისიანა!). 1939-1947 წლებში გამოჩენილი ღირსი ოდისეი დიმიტრიადის არასტუდიური ცოლი იყო. მწერალი კირილ სტოლინოვი წიგნში „ჯალათები და მსხვერპლები“ წერს, უშიშროების უმაღლესი თანამშრომელი, საიდუმლო ცნობების მიმწოდებელი იყო. ღმერთმა იცის, რამდენად მართალია ეს, ოღონდ ის კი ფაქტია, რომ ამ გახმაურებული ქორწინების გამო, 6. რუხადიევა 1948 წელს სპეციალური ახსნა-განმარტება და ცოლის ბიოგრაფია დააწერინა საქ. კ(მ) ცკ-ის პირველმა მდივანმა კანდიდ ჩარკვიანმა (ასლი სსრკ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის

გ. აბაკუშვილს გაეგზავნა). მასში 6. რუხადიევა იხვეწებოდა, უსიტყვოდ თანახმა ვარ განქორწინებაზე, მაგრამ მაშინ „პარტიამ გადაწყვიტა არ ჩარეულიყო კომუნისტის პირად ცხოვრებაში“. ცნობილია (მ. ბარამია იგონებდა), რომ საქ. კ(მ) ცკ-ის ბიუროს ერთ-ერთ დახურულ სხდომაზე კ. ჩარკვიანმა პირდაპირ განაცხადა, რუხადიევა სტალინი დააღალატა ამ ქორწინებით... 1953 წელს გამოძიებამ სპეციალურად ჰკითხა, რა ვითარებაში გაიყვანა ტატიანა ლენინი. სხვათა შორის, ამ ქალბატონმა უპასუხა 6. რუხადიევის ეულად შთქნილ მცირეწლოვან ქალიშვილს, ბოლომდე ერთად ცხოვრობდნენ, ერთად უმკლავდებოდნენ დრო-ჟამის უკუღმართ ტრიალს. ეს კი ამ ქალბატონის ღირსებაზე მეტყველებს. გარდაიცვალა 1999 თუ 2000 წელს.

მაგრამ მანამდე, ძირს დანარცხებამდე, ნიკოლოზ რუხადიევი ალბეგება და ტრიუმფი ელოდა.

1951 წლის აპრილში სტალინი ლიპნაძე იხვეწებოდა. იმდენ წყალობაში გადარჩა, რამდენიმე ათასწილი შემდეგ კი – ახალი ათასწილი აგარაპზე.

ამჟამად იგრძნობოდა, რომ ბორჯომიდან იგი ერთობ განრისხებული და შემოთვლილი დაბრუნდა. დანაშაულებით თქმა ძნელია (უშუალო წყაროები არ არსებობს), მაგრამ მაშინ გავრცელებულ ხმებზე დაყრდნობით, რომლებსაც ერთგვარად ზურგს უმაგრებს ამ მოგზაურობის შემდეგ სტალინის განწყობილება და ნაამბობი, რასაც ერთობ დაწვრილებით აღწერს აკაკი მგელაძე, შეგვიძლია ვივარაუდოთ: ბორჯომში მისი მონახულებისას ყრმობის მეგობრებმა (ვასო ევნატაშვილმა, გიორგი ელიაშვილმა...) შესჩივლეს, რომ კადრების საკითხში აღმოსავლეთ საქართველო იჩაგრებოდა დასავლეთთან (განსაკუთრებით სამეგრელომ) შედარებით, რომ საქართველოში მძლავრობს კუთხურობა, თვისებებითა მფარველობა, მექრთამეობა და ა. შ.

„მეგრეთა საქმის“ მთავარი ჩანაფიქრი ძალზე ცოტა ვინმე თუ იყო. სტალინი ჩვენად ჰქონდა თავისი ნამდვილი მიზნის დაფარვა. კამპანია „ქართველ ნაციონალისტთა წინააღმდეგ მან კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის ლოზუნგით შეიწვია. სტალინი ქართველთა შორის სამართლიანობისთვის მებრძოლის როლი მთავრობდა. 6. ხრუშჩოვი („დრო, აღაშინებები, ხელისუფლება“, მოსკოვი, 1999) წერს: სტალინი იმ დროს რამდენიმე ხნით ბორჯომში იმყოფებოდა, ჩვენ, მე და მიქოიანი, ძლიერ დავეცინეთ. სტალინი იქ ქართველი მერიკაელები მიიღო, რომლებსაც ოდესღაც, მაგვრობისას იცნობდა. 6. ხრუშჩოვს განსაკუთრებით დამახსოვრებია ვილაც რკინიგზელი. თვითონ ის კაცი არ უნახავს, მაგრამ შემდეგ სტალინს უთქვამს, მივიღე და მან მიამბო, თუ რა აღმაშფოთებელი ამბები ხდებოდა საქართველოში. რკინიგზელს მოუყვლია, მრავალი უმაღლესადამთავრებული ახალგაზრდა არსად არ მუშაობს, საქართველოში შესაფერის სამუშაოს ვერ ნახულობენ, სამშობლოდან წასვლა კი არ სურთ და უსაქმოდ სხე-

დან, საქართველოში სპეკულაცია ყვავისო. სტალინი აღმოფთვდა, აგრძელებს ხრუშჩოვი, საქართველოს მერია შეფთვდა, რომელიც ადრე, წლების განმავლობაში მუშაობდა იქ კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანად, მფარველობდა მას და საქართველოს არავის აკარებდა. საქართველოს შესახებ სტალინის ინფორმაციასაც მხოლოდ მერია აწვდიდა. ახლა კი ბურჟუაზი სინათლე გამოჩნდა და მას სტალინის რისხვა მოჰყვა.

ხრუშჩოვის ამ ნაამბობს განამტკიცებს სტალინის დაცვის უფროსის გენერალ ნიკოლოზ ვლასიკის მოგონება. სტალინის საქართველოში ბოლო მგზავრობის დროს, 1951 წელს, როცა ჩვენ ბორჯომსა და წყალტუბოში ვცხოვრობდით, ჩემთან შემოვიდა საქართველოს გზათა მინისტრის მოადგილის (იგი სტალინის მატარებელს ახლდა) ცნობა საქართველოში შექმნილი არაკეთილსამართლო მდგომარეობის შესახებ. უმაღლესში მოსაწყობად 10 ათას მანეთ ქრთამს ითხოვენ, საერთოდ მექრთამეობა ყვავისო. ვლასიკს ეს სტალინისთვის მოუხსენებია...

და აი, ახალ ათასწილ ჩასული სტალინი ბაღში სეირნობისას „მოღუშული, მშრალად, გაუცხოებულად, ისე, რომ მის ხმაში ლითონმა გაიჟღერა“, აკაკი მგელაძეს ეუბნება:

„ამბობენ, საქართველოში გავრცელებულია მექრთამეობა, ხაზინის ქურდობა, სოციალისტური საკუთრებით დატაცება. ეს ბორ-



აკაკი მგელაძე

ჯომში შევიტყვე. რატომ ამის შესახებ არ მოგვხსენებთ საქართველოს არც ცენტრალური კომიტეტი და არც მთავრობა? თუ ისინი ყველაზე ბოლოს იგებენ? როცა კომუნისტები ხელავენ, რომ ცკ უმოქმედოა, უმსგავსობათა წინააღმდეგ გადამჭრელ ბრძოლას არ ეწევა, ისინი მას აღარ ენდობიან... თვით საქართველოს ცკ-ში რა ხდება? მგონი, მესამე სართულზე, არა, ჩარკვიანის კაბინეტში? მეორე სართულზე კი ბორჯომის გახსნეს. გადატანით კი არა, პირდაპირი მნიშვნელობით, თითქმის საამისოდ სხვა ადგილის გამოხატვა არ შეიძლებოდა. აგარაკები არ ჰყოფნიან! მორალურ ნორმებზე ყოველგვარი წარმოდგენა დაკარგეს. რა, ყველაფერი ნებადართულია, რადგან მოსკოვში მერიაა?... ადრე ვამბობდით, როცა თვითონ რესპუბლიკის პრეზიდენტი გიორგი სტურუა სახელმწიფო აგარაკზე მიღებულ რძეს, ხორცს და წინააღმდეგის, როცა მთავრობის მეთაურმა და შინაგან საქმეთა მინისტრმა დიდებული სახლები აიშენეს და მათ მიმზადებულნი გამოეჩნდნენ. და ეს იმ დროს, როცა ასეთი დამანგრეველი ომის შემდეგ ხალხს თავშესაფარი უჭირს“ (ცოტა ქვემოთ აკაკი მგელაძე განმარტავს სტალინის ამ ნათქვამს: ძველმა ბოლშევიკმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდი-

მის თავმჯდომარე გიორგი სტურუამ წყნეთში თავის სახელმწიფო აგარაკზე ძროხები გაიჩინა, საკვებს სახელმწიფო ფასებში იღებდა და რძესა და რძის პროდუქტებს ბაზარში, სპეციალურ ჯიხურში აყიდვინებდა. ასევე ბაზარზე ასაღებინებდა აგარაკზე მოყვანილ მწვანეებს. მან სარწყავი წყალი თავისკენ გაიყვანა და ამით ირგვლივ მცხოვრებ გლეხებს საკარმიდამო ნაკვეთების რწყვის საშუალება მოუშვა. ამისთვის გიორგი სტურუა პრეზიდენტობიდან გაათავისუფლეს. სამჭოთა თავმჯდომარე ვალერიან ბაქრაძემ, ომის შემდგომ, როცა ხალხს განსაკუთრებით უჭირდა ბინები, თბილისში სამსართულიანი კერძო სახლი აიშენა. ორსართულიანი სახლი და ქალაქგარეთ კი აგარაკი ნამოჭიმა შინაგან საქმეთა მინისტრმა გრიგოლ კარანაძემ).

1951 წლის შემოდგომის იმ საღამოს სტალინთან ჩვენი საუბარი რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელობის მრავალ ნაკლოვანებას ეხებოდა, წერს აკაკი მგელაძე, და რაზეც უნდა ელაპარაკა იოსებ ბესარიონის ძეს, მის სიტყვებში ურავა და შემოფოთება ისმოდა. ბევრი ხელმძღვანელი მუშაკის, კომუნისტების გახრწნა ოჯახში იწყება, შენიშნა მან, ცოლეს ყოველთვის რაღაც არ ჰყოფნიან, ყოფა-ცხოვრებაში, ტანსაცმელში. როცა გაძლებიან, ისინი თანდათან ხელი-სუფლებისკენ იწვდიან ხელს, ხელმძღვანელ თანამდებობებზე მუშაკთა დანიშნებაზე ახდენენ გავლენას. როცა ჩვენი პარტია იატაკქვეშეთში იყო, იგი პროვოკატორებისგან უნდა დავეცვა, ახლა კი, როცა იგი ხელისუფლებაშია, უნდა დავიცვათ კარიერისტებისა და ყველა ჯურის ნაძირალეებისაგან, რომლებიც პარტიაში შემოძვრნენ.

შემდეგ სტალინს უკითხავს, საქართველოში მართლა თუ არის მექრთამეობა ალბეგებული. როცა დასტური მიიღო, აფხაზეთში თუ გამოამუშავნეთ მექრთამეობის, ხაზინის ქურდობის, სახელმწიფო ქონების დატაცების შემთხვევები, ახლა ამით დაინტერესდა. ა. მგელაძემ მას აცნობა, რომ სოხუმის პროკურორი გვასალა მექრთამეობის ფაქტზე ამხილეს და დასაჯეს, მაგრამ თბილისის პროკურატურულ-სასამართლო ძალებმა იგი გამართლეს და პატიმრობიდან გაათავისუფლეს, რაც, ალბათ, უქრთამოდ არ მომხდარა. გალის გავითის რედაქტორმა გვასარიამ გლეხებისგან 20 ათასი მანეთი აკრიბა, 15 ათასი მითვისა და მსუბუქი მანქანა იყიდა. პარტიის აფხაზეთის საოლქო კომიტეტმა იგი პარტიიდან გარიცხა და სამართალში მისცა. ეს გადამწყვეტილება ძლიერ გავიტანეთ საქ. კ(მ) ცკ-ის ბიუროს, რადგან ბიუროს ზოგერთი წევრი გვასარიას იცავდა. ზოგჯერ კი ბიუროს არ ამტკიცებს ჩვენს გადამწყვეტილებებს ასეთ საკითხებზე, შესჩივლა ბოლოს.

მე ვიცი ეს, უთქვამს სტალინს, ცენტრალური კომიტეტში აღმოჩნდნენ აღაშინებები, რომლებმაც დაიწყეს დამნაშავნები... ს(მ) ცკ-ის ცენტრალური კომიტეტი გვაქვს სიგნალები, რომ უმსგავსობანი სხვა რესპუბლიკებშიც ხდება, მაგრამ საქართველოში მან წარმოუდგენელი მასშტაბები მიიღო. ამიტომ წესრიგის დამყარებას ჩვენ საქართველოდან დავიწყებთ. მინდა თბილისის, მშობლიური გორის მონახულება, მაგრამ არ შემიძლია ჩამოსვლა, სანამ ეს სამარცხვინო ამბავი სამოლოდ არ დასრულდება.

ამრიგად, 1951 წლის შემოდგომაზე სტალინი თავისი სიყრმის მეგობრებისა („ამის შესახებ ბორჯომში შევიტყვე“) და აკაკი მგელაძისგან უკვე იცის, რომ საქართველოში მექრთამეობა და ხაზინის დატაცება ყვავის, მეგელაძისა და რუხადიისგან მიმოდებული აქვს ცნობა ამ საქმეში ბარამიას როლზე...

(ბაბრძელები იმდენად)



ნიკოლოზ ვლასიკი პარტიის პარტიის



ვისარიონ აბაკუშვილი პარტიის პარტიის

„საქართველოს, ღარღვევების გამო, ჯერჯერობით PACE-ში დაბრუნება არ შეუძლია“

„თუ საქართველო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) დაბრუნებას გადაწყვიტს, მისი დელეგაციის უფლებამოსილების რატიფიცირება არ მოხდება – იმის გამო, რომ თბილისი უარს ამბობს ასამბლეის რეკომენდაციების შესრულებაზე კვანდარაში შექმნილი პოლიტიკური მითარების გასაუმჯობესებლად“, – ნათქვამია გერმანული რადიოს „დოიჩე ველეს“ (Deutsche Welle) მიერ გამოქვეყნებულ მასალაში სათაურით „საქართველოს დარღვევების გამო ჯერჯერობით PACE-ში დაბრუნება არ შეუძლია“ (ავტორი – შიქსონია ვლასენკო). მასში მიმოხილულია და კომენტირებულია ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მიერ ხუთშაბათს, 10 აპრილს მიღებული რეზოლუცია.



გთავაზობთ ვუბლიკაციას:

„ასამბლეა თვლის, რომ პროგრესის არარსებობა რეკომენდაციების შესრულებაში.. და ის, რომ საქართველოში კვლავ გრძელდება დემოკრატიისაგან უკანდახევა, ხელს არ უწყობს ქართული დელეგაციის წევრების უფლებამოსილების რატიფიცირებას იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ასამბლეის მომდევნო სესიაში მონაწილეობას გადაწყვეტენ“, – აღნიშნულია დოკუმენტში.

„თბილისური პარის გაპასუხება“ ასამბლეაში

დელეგაციის საქართველოს საპარლამენტო დელეგაცია ფორმალურად ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის (PACE) მუშაობაში საკუთარი ინიციატივით არ მონაწილეობს. ამის საბაზის ვახდა კონფლიქტი, რომელიც წარმოიქმნა მიმდინარე წლის იანვრის სესიაზე – იმის გამო, რომ საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება ეჭვქვეშ დადგა – ქვეყანაში დემოკრატიის უხეში დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებით.

საბოლოო ჯამში ასამბლეის დეპუტატებმა ხმა მისცეს რეზოლუციას, რომელშიც დადასტურდა დელეგაციის უფლებამოსილება, მაგრამ შემოღებული სახით. ამასთან, ასამბლეამ ქართველებს დაუტოვა იმის შანსი, რომ უფლებამოსილება სრული სახით აღდგენილიყო იმ პირობით, თუ ოფიციალური თბილისი PACE-ს პარლის სესიამდე შეასრულებდა იმ „საშინაო დავალებას“, რომელიც რეზოლუციაში იყო შეტანილი. კერძოდ, საკითხი ეხებოდა იმას, რომ ხელისუფლებას შესაბამისი პირობები უნდა შეექმნა უახლოეს თვეებში განმეორებითი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებისათვის, განეხილვინა ევროინტეგრაციის პროცესი, გაეუმჯობესა კანონი „უცხოური აგენტების“ შესახებ და გაეთავისუფლებინა ყველა პოლიტიკური პატიმარი.

ამ ძალზე მკაცრი რეზოლუციის საპასუხოდ საქართველოს დელეგაციამ განაცხადა, რომ ასამბლეის საქმიანობაში მონაწილე-

ობას წყვეტს, რაც, თავის მხრივ, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა დაადასტურა: მისი თქმით, თბილისმა უკან გაიწვია დელეგაცია და ამის თაობაზე ოფიციალურად აცნობა PACE-ს ხელმძღვანელობას.

„საქართველომ PACE-სთან დიალოგი უარყო“

ევროსაბჭოს ასამბლეაში „ღრმა მწუხარებას“ გამოხატავენ: მიუხედავად იმისა, რომ PACE-ს იანვრის სესიაზე საქართველოს დელეგაციის უფლებამოსილება დადასტურდა, თბილისმა მაინც უარი განაცხადა თავის მონაწილეობაზე ასამბლეის საქმიანობაში, „რითაც ქართველებმა დიალოგი უარყვეს“. რეზოლუციაში განმარტებულია, რომ „თუ დელეგაციის უფლებამოსილება დამტკიცებულია, მაშინ მისი მონაწილეობა ასამბლეის მუშაობაში ნე-

ბაყოფილობითი კი არ არის, არამედ სავალდებულოა“. დოკუმენტის მიხედვით, PACE-ში ასევე სწუხან, რომ სამი თვის განმავლობაში იანვრის სესიაზე რეზოლუციის მიღებიდან, საქართველოს რეკომენდაციები არ შეუსრულებია, შესაბამისად, ქართული დელეგაციის უფლებამოსილება კვლავ შემოღებული დარჩა, ქვეყანაში შექმნილი ვითარება კი უფრო უარესდება. დოკუმენტის თანახმად, მასში ნეგატიურად არის შეფასებული საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული შესწორებები საარჩევნო კოდექსში, ასევე გამოხატული შემოთქმვა ჟურნალისტთა დევნისა და სამოქალაქო საზოგადოებების ლიდერთა დაპატიმრების, მოქალაქეთა მიტინგების, კრებების და აზრის გამოხატვის უფლებების დარღვევის გამო. რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „ქართული ოცნების“ მთავრობა ამინებს და გეუტრება იმ სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომლებიც ხელისუფლების მოქმედებას აკრიტიკებენ.

რეზოლუცია მოუწოდებს საქართველოს ხელისუფლებას შეასრულოს PACE-ს რეკომენდაციები, რათა ქვეყანაში შექმნილი კრი-

ზისული სიტუაცია განიხილოს და განახლდეს სრული თანამშრომლობა როგორც ევროპის საბჭოსთან, ისე მის ასამბლეასთან“.

„აქ პუტინის რუსეთთან მეგობრობა, ან PACE -ს წევრობა“

„დასაბუთია, რომ საქართველოს ამჟამინდელმა ხელისუფლებამ გადაუხვია იმ გზიდან, რომელზეც ბოლო დრომდე ერთად მივდიოდით“, – აღნიშნა ფრანკ შვაბემ, გერმანელმა დეპუტატმა სოციალისტთა ჯგუფიდან, რეზოლუციის ხმის მიცემის წინ გამართულ დებატებზე. მან უარყო ქართველი კოლეგების მიერ გამოთქმული საყვედურები, რომ თითქოსდა ასამბლეა ცდილობს უკანახოს საქართველოს რომელიმე მიმართულებით განვითარდეს და ვისთან ჰქონდეს კავშირები.

„მე პირადად არ მომწონს სამხედრო დამნაშავესთან მეგობრობა, მაგრამ თუ თქვენ გსურთ იყოს პუტინის რუსეთის მეგობრები, რასაკვირველია, ეს თქვენი ნებაა. მაგრამ თქვენ არ შეგიძლიათ და არ გაქვთ იმის უფლება, რომ ძირი გამოუთხაროთ ამ ორგანიზაციის ფასეულობებს და პრინციპებს. თუ ასამბლეის წევრები ხართ, ეს პრინციპები უნდა შეასრულოთ“, – ხაზი გაუსვა ფრანკ შვაბემ.

ნორვეგიელი დეპუტატი ევროპის სახალხო პარტიიდან ინგრიდ შუ „იმედგაცრეხებულია საქართველოს დელეგაციის გადაწყვეტილებით ასამბლეის დატოვებისა და მის მუშაობაში მონაწილეობის არმიდების გამო“. „მოუწოდებ საქართველოს მმართველ პარტიას დაუბრუნდეს ევროსაბჭოსთან, PACE-სთან და ევროპის კომისიასთან დიალოგს, რათა ერთად გადაწყვიტოთ, თუ როგორ შესრულდეს ის ვალდებულებები, რომელთა რეალიზაცია საქართველომ ორგანიზაციაში განვრჩინების დროს აიღო“, – თქვა დეპუტატმა.



Prince Harry makes secret visit to Ukraine
Duke of Sussex goes to war zone one day after telling court his 'life was at risk'

გრიტანული გაზეთი „დეილი ტელეგრაფი“ (The Daily Telegraph) აქვეყნებს სტატიას სათაურით „პრინცი ჰარის საიდუმლო ვიზიტი უკრაინაში: რატომ ეწვია ლვოვს ჰერცოგი“ (ავტორი – კონორ სტონგენი). პუბლიკაციაში გადმოცემულია გაერთიანებული სამეფოს ტახტის მე-5 მემკვიდრის, მეფე ჩარლზ III-ისა და პრინცესა დაიანას უმცროსი შვილის ჰერის უკრაინაში ყოფნის დეტალები და გარემოებები.

გთავაზობთ სტატიას მცირე ზომის ვიდეო: **The Daily Telegraph**

10 აპრილს პრინცი ჰარი უკრაინაში წინასწარ გამოუცხადებელი ვიზიტით ჩავიდა. სახელისუფლო პრესის პრესკონფერენციაზე ჰარის განცხადებით, მისი მიზანია უკრაინის ხალხის მხრიდან დაუცვის უზრუნველყოფა – როგორც პირადად, ასევე თავისი ოჯახის წევრებისათვის დიდ ბრიტანეთში – იმდენად, რამდენადაც მისი სიცოცხლე „საფრთხეში შეიძლება იყოს“.

პრინცი ჰარი-მეფის ოჯახის მეორე წევრია, რომელიც უკრაინას ეწვია 2022 წლის ომის დაწყებიდან – მანამდე უკ-

„პრინცი ჰარის საიდუმლო ვიზიტი უკრაინაში: რატომ ეწვია ლვოვს ჰერცოგი“

რანინაში სოფი იმყოფებოდა, ედინბურგის ჰერცოგინია. იგი კიევს გასულ წელს სტუმრობდა. ასევე მარტში პრინცი უილიამი (ჰარის ძმა) შეხვდა უკრაინელ ლტოლვილებს ესტონეთში ორდღიანი ვიზიტის დროს.

სახელისუფლო პრესის განცხადებით, ჰარის იმ რეგიონში, რომელიც რუსული ბოლისტიკური რაკეტების სამზინს წარმოადგენს, მას შემდეგ გაეცხადა, რაც მან დიდი ბრიტანეთი დატოვა. გასაგებია, რომ ჰერცოგის სასახლე არ იყო ინფორმირებული წინასწარ პრინცის ვიზიტთან დაკავშირებით, რადგანაც ჰარი სამეფო ოჯახის წევრად უკვე აღარ ითვლება.

ფოტოსურათებზე, რომელიც ხუთშაბათს, ლვოვში ვიზიტის დროს არის გადაღებული, ჩანს, რომ პრინცს ქურთუკი აცვია თავისი ფონდის „დაუმარცხებელთა თამაშების“ ემბლეით და უკრაინელ ვეტერანებთან საუბრობს. იგი ასევე შეხვდა ნატალია კალმიკოვას, უკრაინის ვეტერანების საქმეთა მინისტრს.

ჰერცოგის ვიზიტი, რომელიც თვითონ აშშ-ში, კალიფორნიაში ცხოვრობს, შეიძლება განხილული იქნას როგორც სივანალი, მინიშნება ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის დონალდ ტრამპისათვის, რომელიც უკმაყოფილებას გამოხატავს ვოლოდიმირ ზელენსკის მიმართ და მას ომის შეწყვეტისაკენ მოუწოდებს.

როცა ვლადიმერ პუტინი უკრაინაში შეიჭრა 2022 წლის თებერვლის მო-

ლოს, ცოლ-ქმარმა სასექსებმა ომის დაწყება დაგმეს და განაცხადეს, რომ ისინი „უკრაინელ ხალხს სოლიდარობას უცხადებენ“. „ჩვენ ორივე – პრინცი ჰარი და მეგანი, სასექსის ჰერცოგი და ჰერცოგინია – მხარს ვუჭერთ უკრაინელ ხალხს საერთაშორისო სამართლის დამრღვევი ქვეყნის წინააღმდეგ ბრძოლაში და მოგვწოდებთ სოლიდარობას და მხარდაჭერას იგივე გააკეთონ“, – ნათქვამი იყო მათ განცხადებაში.

პრინცი ჰარის პრეს-მდივნის თქმით, ჰერცოგმა ლვოვში გამგზავრება გადაწყვიტა იმიტომ, რომ მას სურდა ადგილზე გასცნობოდა კლინიკის სარეაბილიტაციო სამსახურის საქმიანობას, დაეთვლიერებინა ორთოპედიული კლინიკა და გასაუბრებოდა როგორც პაციენტებს, ასევე ქირურგების ბრიგადის წევრებს. უკრაინა „დაუმარცხებელთა თამაშებში“ (დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეთა და ვეტერანების სპორტულ ღონისძიებებში) 2017 წლიდან მონაწილეობს.

როგორც ჩანს, ჰერცოგი ლვოვში ღონისძიებებში ჩავიდა, სადაც იგი აშშ-დან ჩაფრინდა იმ სასამართლო პროცესზე დასასწრებად, რომელზეც პრინცისა და მისი ოჯახის წევრების ავტობატური დაცვის საკითხი იხილებოდა სახელმწიფო მხრიდან, ბრიტანელი გადასახადის გადახდელთა ხარჯზე. პრინცი ჰარი ცდილობს, გაასაჩივროს სამეფო ოჯახის გადაწყვეტილება სასექ-

სებისადმი ავტობატური დაცვის უფლებების გაუქმების თაობაზე, რომელიც დიდ ბრიტანეთში მათი ყოფნის დროს პოლიციამ უნდა განახორციელოს. ჰარის და მის ცოლს მეგანს ეს უფლება წაერთვათ 2020 წლის თებერვალში, როცა მათ უარი განაცხადეს სამეფო ოჯახის წევრისადმი დაკისრებული ვალდებულებების შესრულებაზე.

ჰერცოგი ჰარი ღონისძიებებში ჩაფრინდა რამდენიმე საათის შემდეგ იმ დროიდან, როცა მეფე ჩარლზი და დედოფალი კამილა იტალიაში ოფიციალური ვიზიტით გაემგზავრნენ. ბუნებრივია, ჰარი მამას და დედინაცვალს არ შეხვედრია.

როგორც ამბობენ, ჰერცოგის უკრაინაში ვიზიტი დაკავშირებულია აგრეთვე ერთ მნიშვნელოვან გარემოებასთან – დიდი ბრიტანეთი, ნატოელ (ევროპელ) მოკავშირეებთან ერთად განიხილავს უკრაინაში ჯარების განლაგებას სუთი წლის ვადით. სამხედრო სარდლობა ფიქრობს, რომ ბრიტანეთის არმიის ქვედანაყოფები ადგილზე შეძლებენ უკრაინელი სამხედრო მოსამსახურეების წვრთნებს და მათ გადართავთ, რათა ხელი შეუშალონ ვლადიმერ პუტინის სამომავლო საგარეო მტერში უკრაინის ტერიტორიაზე.

მოთხოვნა სიმონ კილაძემ





ილია მეორე: ბზობის მაღლით, ღმერთმა დალოცოს და რწმენაში განამტკიცოს სრულიად საქართველო!

„დღეს არის უფლის მგზავრის, 4 დღის გარდაცვლილი ლაზარეს მკვდრეთით აღდგინების ხსენება და ქართული ენის დღესასწაული“, – ამის შესახებ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია მეორის წერილშია ნათქვამი.

ლაზარეს უკავშირდება იესო ქრისტეს მიერ აღსრულებულ სასწაულთა შორის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული მოვლენა; მეთანიაში მომხდარმა ებრაელები გააოგნა და ყველამ, – თვითმხილველთაც და სხვათაც, ირწმუნეს მაცხოვრის ღმერთობა.

X ს-ის მოღვაწის იოანე ბოსიმეს წინასწარმეტყველების მიხედვით, ლაზარეს მსგავსადვე, მხოლოდ ჟამს მოხდება ქართული ენისა და, შესაბამისად, საქართველოს აღდგინება და აღორძინება.

ინებოს უფალმა ამის აღსრულება!

ლაზარეს აღდგინების მეორე დღეს, პასექის დღესასწაულზე, იერუსალიმში მიმავალ მაცხოვრის მთელი ხალხი მინაზე ყვავილებს, თავიანთ სამოსელს, პალმის (პალმის) რტოებს უფენდა და ჩველი პავშევიც, უფროსებთან ერთად, ხმამაღლა სიხარულით გალობდნენ: „კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისათა, ოსანა მაღალთა შინა!“

ეს იყო იესო ქრისტეს ამქვეყნად მყოფობის 33 წლის მანძილზე მთელი ერის უდიდესი ნაწილისაგან მისი ღმერთად და მეუფედ აღიარებისა და თაყვანისცემის ერთადერთი დღე. ამიტომაც, მზობა განსაკუთრებული ზეიმი.

იერუსალიმში მიმავალი, კივცა ზედა მჯდომარეო, უფალო ჩვენო, ჩვენც გაგიფენთ ჩვენს სამოსს, ჩვენს სულს, გულსა და სიყვარულს და შევთხოვთ: ნუ მოიხსენებ უს-



ჯულოებათა ჩვენთა, ნურასდროს განგვეშორები და დღითა სულგრძელებითა შენითა შეგვინყალებ.

მზობის მაღლით, ღმერთმა დალოცოს და რწმენაში განამტკიცოს თითოეული თქვენგანი და სრულიად საქართველო, ამინ“!



ყველამ კარგად იცის, რომ გიორგი ან-წუხელიძე არის გმირი, თეა წულუკიანის გამონათქვამი არასწორად იქნა ინტერპრეტირებული, რადგან რადიკალების მიზანია, დროებითი საგამოძიებო კომისიის დისკრედიტაცია მოახდინონ, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, **გიგო მიქანაძემ** განაცხადა.

„ჩვენ ვხედავთ, რომ ამ ადამიანებს საზოგადოებისთვის არაფერი აქვთ სათქმელი და ყველაფერს აკეთებენ, რომ თავი აირიდონ პასუხების გაცემისგან. მათ შორის, ფაქტობრივად, მზად არიან, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაც კი დადგეს მათთან მიმართებით და იგონებენ სრული-

გიგო მიქანაძე: თეა წულუკიანის გამონათქვამი არასწორად გაიგეს, რადგან რადიკალების მიზანია საგამოძიებო კომისიის დისკრედიტაცია

ად უსუსურ საფუძვლებს, თითქოს ამ კომისიას არანაირი ლეგიტიმაცია არ აქვს. ამ კომისიის აქვს ჩვენი საზოგადოების უდიდესი ნაწილის ლეგიტიმაცია, შესაბამისად, ნებისმიერი განცხადებით ცდილობენ, თავიანთი ინტერპრეტაცია გააკეთონ, საზოგადოებაში არასწორი ინფორმაციის ტირაჟირება მოახდინონ. ანალოგიური მცდელობა იყო, რაც ჩვენ ვიხილეთ თეა წულუკიანის ინტერვიუსთან დაკავშირებით.

ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ გიორგი ანწუხელიძე არის ჩვენი უახლესი ისტორიის უდიდესი გმირი, ადამიანი, რომელიც წარმოადგენს სიმბოლოს ქართული გაშვებულობის, გაუკაცობის და მტერთან შეურიგებლობის. თეა წულუკიანის გამონათქვამი იქნა ამსოფლებურად არასწორად ინტერპრეტირებული საზოგადოებაში. პროცესი, რომელიც გვიან სადამოს თეა წულუ-

კიანის სახლთან განვითარდა, არის გაგრძელება რადიკალების, ამ უსუსური, უსახური განცხადებების და ერთგვარი პერფორმანსების, რადგან კარგად იცინ, რა საკითხებთან დაკავშირებით ხდება საგამოძიებო კომისიაზე კონკრეტული პირების დაბრუნება.

ძალიან კარგად იცინ, რატომ არ მიდიან კონკრეტული ადამიანები პასუხების გასაცემად და საზოგადოება დღითიდღე კიდევ უფრო მეტ მართლაც გაუგონარ დანაშაულს ისმენს ქართული საზოგადოების და ქართულ სახელმწიფოს წინააღმდეგ, რომელიც წინა ხელისუფლების და შემდგომში წინა ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ქვეყნის საზიანოდ იქნა განხორციელებული. ერთმნიშვნელოვნად ჩანს, რომ ამ კომისიის შექმნა იყო საჭირო, მნიშვნელოვანი. ამ კომისიამ ჯერ კიდევ საწყის სტადიაზე საზო-

გადოებას აჩვენა მხოლოდ ნაწილი იმ რეალობისა, რასაც ადგილი ჰქონდა სააკაშვილის დანაშაულებრივი რეჟიმის დროს, – განაცხადა **მიქანაძემ**.

პარლამენტის ვიცე-სპიკერმა, პარლამენტის საგამოძიებო კომისიის თავმჯდომარემ, **თეა წულუკიანამ** 11 აპრილს განაცხადა: „რატომ არ არის დღეს გიორგი ანწუხელიძე სახლში? მე, ჩემს თანამებრძოლებთან ერთად, მაქვს უფლება, დავსვა ეს კითხვა. და ვინ ამიკრძალავს ამ კითხვის დასმას? ვერაფერია. ყველა ბავშვს სჭირდება თავისი მშობელი სახლში და არა უაზროდ განწირული ვიდაცის პიარისთვის. ამ შემთხვევაში სააკაშვილის ვგულისხმობ“.



თბილისის მერია:

მწუხარებას გამოვთქვამთ 13 წლის მოზარდის გარდაცვალების გამო!

მწუხარებას გამოვთქვამთ მოზარდის გარდაცვალების გამო. შემთხვევა ე.წ. ტიტანიკის კორპუსის სახურავზე მოხდა, სადაც მოზარდი სკიფიზირებით იმყოფებოდა. ის სახურავიდან ლიფტის შახტში ჩავარდა.

მერიაში აცხადებენ, რომ აღნიშნული კორპუსი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ავარიულ მდგომარეობაშია. მათივე ინფორმაციით, მომინადრეებს შესთავაზეს ქირით გაეყვანა და „ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამაში“ მონაწილეობა, რაზეც ნაწილი დათანხმდა, ნაწილი კი – არა.

„გვინდა, მწუხარება გამოვთქვათ გლდანის რაიონში მომხდარი ტრაგიკული შემთხვევის შედეგად მოზარდის გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ მის ოჯახსა და ახლობლებს.

შემთხვევა მოხდა ლიბანის ქუჩა N22-ში არსებული ე.წ. ტიტა-

ნიკის კორპუსის სახურავზე, სადაც მოზარდი, თანატოლებთან ერთად, სკიფიზირებით იმყოფებოდა. მოზარდი სახურავიდან ლიფტის შახტში ჩავარდა.

ბავშვები აღნიშნული კორპუსის მცხოვრებლები არ არიან.

ე.წ. ტიტანიკის კორპუსი გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან მოყოლებული ავარიულ მდგომარეობაშია და სწორედ ავარიულობის გამო კორპუსში ლიფტი მოწყობილი არასდროს ყოფილა. მოსახლეობის გამოყვანის პროცესი თბილისის მერიაში წლების წინ დაიწყო. მომინადრეებს შეეთავაზათ ქირით გაეყვანა და „ავარიული კორპუსების ჩანაცვლების პროგრამაში“ მონაწილეობა. უსაფრთხოების მიზნით, გლდანის რაიონის გამგეობამ მოსახლეობას არაერთხელ შესთავაზა ქირით უზრუნველყოფა და მოსთხოვა გასვლა აღნიშნული შენობიდან. მოსახლეობის ნაწილი შეთავაზებას დათანხმდა,



ნაწილი კი რჩება აღნიშნულ მისამართზე საცხოვრებლად და უარს აცხადებს ქირით გასვლაზე. თბილისის განვითარების ფონდი კვლავ გამოთქვამს მზაობას, მოხდეს კორპუსის ჩანაცვლება, თუმცა, როგორც საზოგადოებისთვის არის ცნობილი, ამისთვის საჭიროა მოსახლეობის 100%-იანი თანხმობა“, – აღნიშნულია თბილისის მერიის განცხადებაში.

შეგახსენებთ, **თბილისში**, ავგალოს დასახლებაში უზადურ შემთხვევას 13 წლის გიგო მისხვერვა.



ინგლისში შექსპირის სონეტის დაკარგული ასლი იპოვეს

დოქტორმა ლია ვერონეზამ, ოქსფორდის უნივერსიტეტის ინგლისური განყოფილებიდან, აღმოაჩინა მსოფლიოში ცნობილი დრამატურგის, უილიამ შექსპირის სონეტი 116-ის იშვიათი ხელნაწერი ასლი, რომელიც დამალული იყო მე-17 საუკუნის პოეზიის კრებულში. – ამის შესახებ SciTechDaily წერს.

გამოცემა ამბობს, რომ ეს სონეტის მხოლოდ მეორე ცნობილი ხელნაწერი ასლია, რომელიც იდენტიფიცირებულია. დოქტორმა ვერონეზამ ხელნაწერი იპოვა ოქსფორდის ბოლდენის ბიბლიოთეკაში კვლევის დროს. სონეტი იყო სხვადასხვა ავტორის ლიტერატურული ნაწარმოებების ხელნაწერ კრებულში, რაც ადრეულ თანამედროვე პერიოდში პოეზიის გავრცელების საერთო ფორმა იყო.

„როდესაც ხელნაწერს ვფურცლავდი, ეს ლექსი მომეჩვენა, როგორც სონეტი 116-ის უცნაური ვერსია. როდესაც კატალოგს დავაკვირდი, ეს ამკარად შექსპირის შემოქმედების ნაწილი იყო, მაგრამ მასში ავტორის შესახებ არაფერი იყო ნათქვამი. ორიგინალური კატალოგის აღწერილობაში შექსპირის არარსებობა შეიძლება იყოს იმის მიზეზი, რომ ეს ლექსი შეუმჩნეველი დარჩა“, – განმარტა მკვლევარმა.

ოქრო ბაპირდა

საერთაშორისო გირჟაზე ოქროს ფასმა ისევ მოიმატა. ერთი უნცია ოქროს ფასი 3 239 დოლარია.

Gold Price-ის მონაცემების მიხედვით, ერთი წლის პერიოდში ძვირფასი ლითონის ფასის თითქმის 35%-ით გაიზარდა. ექსპერტების შეფასებით, ოქროს ფასის ზრდა დაკავშირებულია აშშ-ჩინეთს შორის მიმდინარე დაძაბულობასთან.

ნუკრი ქანთარია:

ახალგაზრდობისთვის
თეატრის კარი ღიაა



უპეო ორი წელია, რაც გათუმის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად ნუკრი ქანთარია მუშაობს. მისი დიდი გამოცდილება ნამდვილად წაადგება თეატრის ისე, როგორც ეს გვახსოვს თელავისა და ახმეტელის თეატრების მაგალითზე. მისი ორგანიზატორული და შემოქმედებითი შესაძლებლობები ყოველთვის მიმართულია სათანადო რეპერტუარის შექმნის, მსახიობთა შესაძლებლობების მაქსიმალური გამოვლენისა და სპექტაკლის პოზიციის მკვეთრად ჩვენებისკენ. ამგვარი პიროვნების დაკმაყოფილებას გათუმის დიდი ტრადიციების მქონე თეატრი ნამდვილად შეესაბამება, სადაც არაერთი ცნობილი მსახიობი და რეჟისორი მოღვაწეობდა. ეს ნუკრი ქანთარიას დიდი პასუხისმგებლობასაც აკისრებდა, რომ თანამედროვე ცხოვრების მაჩვენებელი საინტერესოდ წარმოეჩინა. ვფიქრობ, ნუკრის გამოცდილება თეატრის მხატვრულ სახეს ჩამოაყალიბებს. ამიტომაც მკითხველისთვის საინტერესო იქნება თეატრის განახლებისკენ მისი გადადგმული ნაბიჯები.


– გათუმში ჩასვლისას თეატრში როგორი მდგომარეობა დაგხვდათ და უპირველეს ყოვლისა, რა ღონისძიებები დაიასახეთ მიზნად?

– გათუმის თეატრში ძალიან მწირი რეპერტუარი დამხვდა (4 სპექტაკლი) და ჩემი კოლეგები მეუბნებოდნენ, რომ გათუმი არათეატრალური ქალაქია და მაყურებელი მხოლოდ პრემიერებზე დადის... იყო გარკვეული სირთულეებიც. პირველ მიზნად მაყურებელთან კონტაქტის დამყარება დავისახე. საჭირო იყო რეკლამაც და მთელი დასის დაკავება, რომ გამეგო, ვის რა შეეძლო თეატრის შემოქმედებითი სახის განვითარებისთვის. დაიწყეთ მთელ ქალაქში სარეკლამო დაფების განთავსება. შევიძინეთ დიდი მონიტორი სპექტაკლების კლიპების გასაშვებად, რათა მსახიობთა ცნობადობა გაგვეზარდა. ასევე თეატრის წინ დაიდგა ელექტროტუმბოები, რომ რეკლამით რეპერტუარი უფრო სახიერი გაგვეხადა. ეს ორი წელი მოვანდომეთ რეპერტუარის გამრავალფეროვნებას და მაყურებელზე არ დავგვიტოვებია. ამჟამად რეპერტუარში 16 სპექტაკლია. თეატრს აქვს მცირე სცენა მელამბელოს ქუჩაზე (სადაც სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს) და ექსპერიმენტული სცენა, რომლებიც მაქსიმალურად დაიტვირთა და ამ ხნის განმავლობაში ყველა მსახიობი დაკავდა. დასში 45 მსახი-

ობია. კონტაქტები დავამყარეთ რუსთაველისა და ხელოვნების უნივერსიტეტებთან, საზღვაო აკადემიასთან და მემორანდუმები გავაფორმეთ, რამაც ხელი შეუწყო ახალგაზრდების მოსვლას. სკოლებთან ურთიერთობებშიც გამოიკვეთა და მაყურებელმაც ინტენსიურად იწყო თეატრში სიარული და თეატრი საზოგადოების სამსახურში ჩაღდა. მივიჩნევ, რომ ეს უმთავრესი მისია შესრულდა.

– ზოგადად, საქართველოს თეატრებში პრობლემატური ფინანსური უზრუნველყოფის საკითხი და ამ თვალსაზრისით გათუმის თეატრში როგორი მდგომარეობაა?

– ვიზრუნეთ მსახიობთა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესებაზეც და სარეპერტუაციკაზეც ვუბრუნდები დანაშაულებს, რამაც მათ გარკვეული სტიმული მისცა. დიდი მადლობა მინდა ვუთხრო ქალაქის ხელმძღვანელობას. მათ საშუალება მოგვცეს, სარეკლამო დაფები ქალაქის თითქმის ყველა უბანში განგვეთავსებინა. სპექტაკლები იმართებოდა თვეში ორ-სამჯერ. ამჟამად, ორმახათის გარდა, ინტენსიურად ვთამაშობთ. მაყურებლის გვემა თითქმის ასი პროცენტითაა შესრულებული. ამას გარდა, ათ სპექტაკლს ხომ უნდოდა დაფინანსება, რასაც საგაბატოლო ხარჯებიც ემატება. სადადგმო ხარჯებიც გვეყოფნის და სადადგმო ხარჯებისთვის საკუთრისო მარათონში არ ვმონაწილეობთ. მსახიობთა ხელ-



„მთავარია, თეატრს ჰყავს მაყურებელი და საზოგადოებას მხარს გვიჭერს. რეჟისორების მოწვევას გავაგრძელებთ და მცირე სცენა მინდა ახალგაზრდებს დავუთმო!

– სარეპერტუარო პოლიტიკა როგორაა შედგენილი?

– რეპერტუარში კომედიაც არის და დრამაც, რომელთა ავტორები, ქართველთა გარდა, უცხოელებიც არიან. ამიტომაცაა რეპერტუარი მრავალფეროვანი. თანაც მსახიობებისთვის აუცილებელია სხვადასხვა ჟანრის სპექტაკლებში მონაწილეობა და ხასიათების მრავალსახეობა. სამხატვრო ხელმძღვანელი მსახიობთა პერსპექტივებზე და მათ აღზრდა-განვითარებაზეც უნდა ზრუნავდეს და არა მათი შესაძლებლობების გამოწერაზე.

– ყველა თეატრში ახალგაზრდა მსახიობის პრობლემაა და ამ მხრივ როგორაა საქმე გათუმის დასში?

– გათუმში არის ხელოვნების უნივერსიტეტი და სტუდენტებსაც ვინვევ. ახლა, მაგალითად, მცირე სცენაზე ვდგამ სელენჯერის „თამაში ჭვავის ყანაში“ და მსახიობებთან ერთად სტუდენტებიც მყავს დაკავებული. აქაც აქვთ შანსი თავიანთი შესაძლებლობები გამოიყენონ და საკუთარი ადგილი დაიმკვიდრონ. ახალგაზრდობისთვის თეატრის კარი ღიაა. დასში 30-35 წლის მსახიობებთან ერთად სტუდენტები და დამწყები მსახიობებიც თავიანთ სიტყვას იტყვიან.

მსაუბრა
გუგაზ მებრედიძე



ფსტივალში «თეატრალური მარტივილი» დასრულდა

მარტშილის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერითა და კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის ორგანიზებით, ტრიფონ ხუხუას სახელობის კულტურის სახლმა 10-11 აპრილს საზაფხუო თეატრალურ დასებს უმასპინძლა. ინფორმაციას მარტვილის მერია ავრცელებს.

მათივე ცნობით, სასკოლო თეატრალურ ფესტივალში „თეატრალური მარტივილი“ შვიდი საჯარო სკოლის მოსწავლეები მინი-სპექტაკლებით მონაწილეობდნენ.

„10 აპრილს, მაყურებლის და ჟიურის წინაშე წარდგენენ მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვედა ნავაზაოს, თამაკონის, ლეცავის და N1 საჯარო სკოლები.

11 აპრილს კულტურის სახლის სცენა დაეთმო მარტვილის მუნიციპალიტეტის ბაღდის, ლედგებეს და N2 საჯარო სკოლების თეატრალურ დასებს. ფესტივალის დასრულების შემდეგ გამოვლინდნენ და დაჯილდოვდნენ გამარჯვებულები სხვადასხვა ნომინაციებში.

სასკოლო თეატრალური ფესტივალის იდეის ავტორები არიან მურმან წაწარია – მარტვილის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტის, ტურიზმის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის უფროსი, გიორგი წიგნიაძე – კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის შემოქმედებითი მიმართულების მენე-

ჯერი; გოჩა სხულუხია – კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრის და თოჭინების თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი; ზურაბ ჯამბურია – კულტურისა და ახალგაზრდობის განვითარების ცენტრთან არსებული თოჭინების თეატრის მმართველი.

ახალი რიოილები თბილისის
სახელმწიფო კონსერვატორიის

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიას, მსოფლიოში განთქმული STEINWAY AND SONS-ის ახალი რიოილი საქართველოს კულტურის სამინისტროს დაფინანსებით გადაეცა.



კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ახალი ინსტრუმენტები „STEINWAY AND SONS“-ის წარმომადგენლებმა აუდიტორიებში განათავსეს, შეამოწმეს და გამართეს. ამით დასრულდა კონსერვატორიაში ძველი რიოილების ახლით ჩანაცვლება. საქართველოს კულტურის სამინისტრომ თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიისთვის – 71, საქარია ფალიაშვილის სახელობის ცენტრალური სამუსიკო სკოლა „ნიჭიერთა ათწლეულისთვის“ კი, 8 ახალი რიოილი შეიძინა.

ფოლკლორის სახელმწიფო
ცენტრის 45-ე სალოტბარო
სკოლა ღაფანყურში

„თელავის მუნიციპალიტეტის სოფელ ღაფანყურში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის 45-ე სალოტბარო სკოლა იხსნება“, – ამის შესახებ ინფორმაციას ფოლკლორის

სახელმწიფო ცენტრი ავრცელებს. მათივე ცნობით, ღაფანყურში ერთი საუკუნის წინ, ჩამოსახლებული ფშაველები და ხევსურები ცხოვრობდნენ. მნიშვნელოვანია დღემდე შემონახული მათი ტრადიციების მომავალი თაობებისთვის გაზიარება. ამ მიზნით, დღის წესრიგში დადგა სალოტბარო სკოლის გახსნის აუცილებლობა.

„აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთი, ბოლო ათწლეულების განმავლობაში აქტიურ მიგრაციას განიცდის, რაც ადგილზე ტრადიციის თანდათან გაქრობა-გადაშენების საფრთხეს ქმნის.

სალოტბარო სკოლის გახსნის შესაძლებლობა ზემოთ თქმულ ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს სოფლის საჯარო სკოლაში მუსიკის მასწავლებლად გიორგი მთაწმინდელის სახელობის გალობის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულის, გიორგი მაზარაშვილის მისვლამ. ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ, პირველი სალოტბარო სკოლა 2015 წელს გაიხსნა.

10 წლის მანძილზე ფოლკლორის ცენტრმა საქართველოს ყველა რეგიონი მოიკვა და დღეს უკვე 2000-მდე მოსწავლე, სრულიად უსასყიდლოდ ეუფლება ქართულ მრავალხმიანობას, ტრადიციულ გალობასა და ქორეოგრაფიას. 2025 წლიდან სალოტბარო სკოლებში ქართული ზეპირსიტყვიერების სწავლებაც დაიწყო.

პროექტის მხარდამჭერია საქართველოს კულტურის სამინისტრო, – ნათქვამია ინფორმაციაში.



განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემტი პოლინგი“ კრედიტორ ს/ს „ლიმერთი მანკის“ განცხადების საფუძველზე ატარებს მეორე აუქციონს ავთანდილ მამისაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

- უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ავთანდილ მამისაშვილი (3/6 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენაძე, მე-10 ქ. N13
 - უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:** გურჯაანი, ს. არაშენაძე, სათბურთან ვერხვებთან (საკადასტრო კოდი: 51.18.60.295)
 - უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა:** უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
 - უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20912.82 ლარი.
 - აუქციონის დაწყების თარიღი:** 2025 წლის 14 აპრილი, 14:00 საათი.
 - აუქციონის დასრულების თარიღი:** 2025 წლის 28 აპრილი, 14:00 საათი.
 - აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
 - 5.1. ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის N71271HZP107446525; აუქციონის ნომერი: 71271 ლოტის ნომერი: 1074465
 - 6. მოვალე:** ავთანდილ მამისაშვილი (3/6 13001054959), მის: გურჯაანი, ს. არაშენაძე, მე-10 ქ. N13; თამილა მამისაშვილი (3/6 13001054958), მის: გურჯაანი, ს. არაშენაძე, მე-10 ქ. N13
 - 7. აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემტი პოლინგი“ (ს/კ 204572284), მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. N40, სართული 11.
 - 8. აუქციონის პირობები:**
 - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
 - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
 - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის მენეჯიერი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ლიმერთი მანკი“.
 - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემტი პოლინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი მანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებამზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
 - 9. აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის N71271HZP107446525; ლოტის ნომერი: 1074465).
- ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2025 წლის 28 აპრილის 12:00 საათამდე.

დააკავეს 45 წლის პედოფილი

ამის შესახებ ინფორმაციას, სპეციალური საგამოძიებო სამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული, Facebook-ის ყალბი გვერდების გამოყენებით, 14 წლამდე ასაკის ბავშვებს უკავშირდებოდა. ბრალდებული მათ არასრულწლოვანი ბიჭის ან გოგოს სახელით ეცნობოდა, მდიოდა ბავშვებთან კომუნიკაცი-აში, რის შემდეგაც სექსუალური შინაარსის საკითხებზე იწყებდა საუბარს და მათგან გაშიშვლებას და ვიდეო-ზარის განხორციელებას მოითხოვდა.

„2025 წლის თებერვალში, ბრალდებული, 14 წლის გოგონას Facebook-ით დაუკავშირდა, მოტყუებით მოიპოვა მისი ნდობა, რის შემდეგაც მუქარით აიძულა შესულიყო აბაზანაში, ჩართულიყო ვიდეო-ზარით, გაშიშვ-ლეზულიყო და ინტიმური მოქმედებები განეხორციელებინა, პარალელურად, მიმონერის და ვიდეოზარით საუბრის დროს, თავდაც სექსუალური ხასიათის მოქმედებებს ახორციელებდა. ბრალდებული არასრულწლოვანზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას თვების განმავლობაში ახდენდა.“



სპეციალურმა საგამოძიებო სამსახურმა, დაზარალებული არასრულწლოვანის მომართვის შემდეგ, გამოძიება მყისიერად წარმართა და გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა. ბრალდებულის სასჯელის აღკვეთის მიზნით ჩატარებული ჩხრეკის შედეგად ამოღებული იქნა მისი მობილური ტელეფონი და კომპიუტერული ტექნიკა. გაიშიფრა ვედიოფილიაში მხილველი პირის მიმონერა და ყალბი პროფილები, რის შემდეგაც გამოძიებამ ღუშეთის რაიონის მცხოვრები 45 წლის მამაკაცი დანაშაულები ამხილა. დანაშაული 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, – წერია ინფორმაციაში.

აჭარაში ჯგუფურად ჩადენილი

გამოძიებისა და იძულების

ბრალდებით 2 პირი დააკავეს

„შენაშენ საქმეთა სამინისტროს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ბათუმის საქალაქო სამმართველოს თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე, კომპლექსურად ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, უკრაინის მოქალაქე – 1981 წელს დაბადებული მ.შ. და 1987 წელს დაბადებული ნარსულში ნასამართლევი შ.ყ. დიდი ოდენობით ქონების რაიონის მიზნით ჯგუფურად ჩადენილი გამოძალგისა და იძულების ბრალდებით დააკავეს.“

მათივე ცნობით, დანაშაულები 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულებმა ბათუმში, უკრაინის მოქალაქეს 1994 წელს დაბადებულ მ.შ. -ს, უკრაინაში ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით გასამართლად სისხლისპროცესზე ჩვენების შეცვლა და აღნიშნულ სის-

ხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაკავებული პირების სასარგებლოდ 180 000 აშშ დოლარის ჩარიცხვა მოსთხოვეს. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალდებულები მ.შ.-ს მისი და მისი მეუღლის სიცოცხლის მოსპობით დაემუქრნენ.“

სამართალდამცველებმა ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, იძულების განმხორციელებელი პირების ვინაობა დაადგინეს. პოლიციამ შ.ყ. ბათუმში, ხოლო მ.შ. სარფის სასაზღვრო გამშვები პუნქტის ტერიტორიაზე საქართველოს დატოვების მცდელობისას დააკავეს, – ნათქვამია ინფორმაციაში.

მხილავულია გიუჯარის თანხის

თაღლითურად მიტოვისაგან

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დღგ-ს ყალბი დეკლარაციების დამზადება-გამოყენების გზით, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყო ერთი პირის მიმართ.

2020-2023 წლებში, ბრალდებულმა, მის მელომელობაში არსებული კომპანიის სახელით, შემოსავლების სამსახურში წარადგინა დღგ-ს ყოველთვიური დეკლარაციები, რომლებშიც შეტანილი იქნა ფიქტიური მონაცემები რეალიზებულ საქონელთან მიმართებით, რა გზითაც, მან კომპანიის მეუქმნა დღგ-ს ყალბი აქტივი. დიდგენილია, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით, ბრალდებული მოტყუებით დაუფლდა სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილ, ჯამში – 639 684 ლარს.

მარიხუანა და კანაფი ამოიღეს

შენაშენ საქმეთა სამინისტროს მცხეთა-მთიანეთის პოლიციის დეპარტამენტის მცხეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვისა და კულტივირების ფაქტზე ბრიტანეთის მოქალაქე, 1988 წელს დაბადებული დ.პ. დააკავეს.

დანაშაულები 4-დან 11 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. სამართალდამცველებმა ნარკოდანაშაულის ბრალდებით დაკავებულის პირადი და საცხოვრებელი სახლის ჩხრეკისას, სარეალიზაციოდ გამზადებული დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება და ელექტროსასწორი ნივთმტკიცებლად ამოიღეს.



საქართველო დაჩქარებული „გვინების გაღინების“ რისკის წინაშეა!

„გაგვიჩვენა გვერდი“
შს სამშრომლო თბილისსა და რეგიონებში ასაქმებდა მცირე მაღალკვალიფიციურ ადამიანს, რომლებმაც ან უკვე დაკარგეს შემოსავალი და სამუშაო ადგილები, ან დგანან სამუშაოს დაკარგვის რისკის წინაშე;

საჯარო ინსტიტუტები: ასობით თანამშრომელი გაათავისუფლეს ან არ გაუგრძელეს ხელშეკრულება საჯარო ინსტიტუტებში მათი პოლიტიკური შეხედულებების გამო. ამ მოვლენებმა, უცხოელი დონორების მხარდაჭერის (USAID და სხვ.) შემცირებასთან ერთად, კიდევ უფრო გააუცხოვა ახალგაზრდა პროფესიონალები, აკადემიური სექტორი და მენარმეები, რომლებიც საქართველოში საკუთარ მომავალსა და პერსპექტივებს ვეღარ ხედავენ;

დონორების მიერ დაფინანსებული პროექტები: ISET-ის „სამუშაოს შეჩერება“ და მრავალი პროგრამის დახურვა ყველაზე დიდი მოულოდნელობა იყო ასობით მაღალკვალიფიციური პროფესიონალისა და ექსპერტისთვის, რომლებიც პროგნოზირებულად გამოჩნდნენ ახალი შესაძლებლობების ძიებაში. **პოტენციური ტვირთის გაღინება უნდა გვადელაგვადეს. რაგორ?**

კვალიფიციური მუშაკების შენარჩუნებისა და იმიგრაციის წახალისების გარეშე, ქვეყანას შეიძლება გაუჭირდეს ეკონომიკური და სოციალური განვითარების და ევროატლანტიკური ორიენტაციის შენარჩუნება. მარტივად რომ ვთქვათ – ტვირთის გაღინება კიდევ უფრო დააზიანებს საქართველოს მდგრადობას. **პირველი რამე**, ტვირთის გაღინების ეკონომიკური შედეგები ღრმად. კვალიფიციური პროფესიონალების დაკარ-

გვა ამცირებს საქართველოს შესაძლებლობებს, რაც აუცილებელია ინოვაციების, მაღალი პროდუქტიულობისა და ეკონომიკური ზრდისთვის. გარდა ამისა, განათლებული ადამიანების გაღინება – რომლებმაც ისარგებლეს სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული საგანმანათლებლო პროგრამებით – ადამიანურ კაპიტალში ჩადებული ინვესტიციის დაკარგვას ნიშნავს. კვალიფიციური სამუშაო ძალის შემცირება იმას ნიშნავს, რომ საქართველოს გაუჭირდება უცხოური ინვესტიციების მოზიდვა, რადგან კომპანიები, რომლებმაც მაღალკვალიფიციური თანამშრომლები სჭირდებოდათ, შეიძლება სხვა ქვეყნებში გადავიდნენ, სადაც შრომის ბაზარი უფრო სტაბილურია. ტვირთის გაღინება აფერხებს ეკონომიკის დადებით სტრუქტურულ ტრანსფორმაციასაც, რაც უფრო ართულებს სამუშაო



ძალის გადასვლას დაბალპროდუქტიული სექტორებიდან მაღალპროდუქტიულ სექტორებში. ასეთ დროს ადამიანების პროფესიულ უნარებს შორის შეუსაბამობა იზრდება, რაც გიზნებისთვის უფრო რთულს ხდის ადგილკატურად კვალიფიციური მუშაკების პოვნას. ასეთ დროს მცირდება საჯარო სექტორის თანამშრომლების კვალიფიკაცია, რაც, თავის მხრივ, ანელებს რეფორმებს და ზრდის ეკონომიკური და ინსტიტუციური სტაბილურობის რისკებს.

მეორე, არ შეიძლება დავივიწყოთ ტვირთის გაღინების დემოგრაფიული გავლენა. ემიგრაციაში წასულთა შორის გვერია მაღალკვალიფიციური ახალგაზრდა, რაც არღვევს მოსახლეობის ასაკობრივ სტრუქტურას. მაღალი მოზადობისა და დაბერებული სამუშაო ძალის პირობებში, საქართველო შეიძლება გრძელვადიანი ეკონომიკური სტაგნაციის რისკის წინაშე აღდგეს, რადგან სამუშაო ძალის დეფიციტი უფრო მწვავე გახდება.

მესამე, სამოქალაქო სივრცე შეიძლება შემცირდეს პროვოკაციული, პროდემოკრატიული, პროგრესული, განათლებული, კვალიფიციური პირების გაღინებით, რაც კიდევ უფრო დააზიანებს ქვეყანაში დემოკრატიას ამ რთულ დროში. როგორც კვლევითი ინსტიტუტები აღნიშნავენ, საჭიროა, აღდგეს ნდობა ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური ტრადიციის მიმართ და შეიქმნას ისეთი გარემო, სადაც ნიჭიერი ადამიანები საკუთარ ქვეყანაში დაინახავენ წარმატების მიღწევის შესაძლებლობებს.

ამცანბი

კარგი ამბები

ფუტსალი

მწროვლის ჩემპიონატის ფინალური ტურნირისკენ დიდი ნაბიჯი გადადგა **აშთანდილ ასათიანის** განვითარება საქართველოს ფეხბურთის ეროვნულმა ნაკრებმა, რომელმაც მინერალის მე-10 ჯგუფის მე-5 ტურის მატჩი პრიმტიონი 3:1 მოუგო კოსოვოს გუნდს და დასკვნით შეხვედრაში ჩვენი კვარტეტის ნაადრევ გამარჯვებულს – ფრანგებს უმასპინძლებს.

დავძენო, რომ საუკეთესო მთავარი ფეხბურთელი როგორც მე-5 საუკეთესო მთავარი ფეხბურთელი ითამაშეს, ჯაროსნებმა კი უკვე გადაუსწრეს ერთ-ერთ უშუალო კონკურენტს – ნიდერლანდებს.

ჩოგბურთი

ნარმატაშვიტ შეასრულა პროგრამა-მინიმუმი საქართველოს ქალ ჩოგბურთელთა ეროვნულმა ნაკრებმა (გუნდის კაპიტანი – **მარგალიტა ჩანაშვილი**), რომელმაც კვიპროსის ქალაქ ლარნაკაში ბულგარეთი დაამარცხა და ბილი ჯინ კინგის თასის გათამაშების ევროპული ზონის პირველ ჯგუფში აღზევდა.

მართალია, წინაა თბობა ტურნირის გადამწყვეტი პლეი-ოფი ნორვეგიასთან, მაგრამ ვინაიდან დემულებით ზედა ემელონში ორივე რჩეული ითამაშეს, აღნიშნულმა ბრძოლამ ინტრიგა დაკარგა.

კალათბურთი

მწროვლის რეგულარული სეზონი **თორნიკე შენგელიას** ისევე უსახურად დასრულდა, როგორც დაიწყო, ოღონდ ეს ძირითადად მის გუნდზე ითქმის, თორემ თვით ჯაროსანთა კაპიტანი მთელი ტურნირის განმავლობაში პარტნიორთა შორის საუკეთესო გახლდათ და სტამბილურად კარგად ითამაშა.

ასე მოხდა ბოლო ტურშიც, როცა ვირტუსი ბარსელონაში დამარცხდა – 87:91, მისმა ქართველმა ლიდერმა კი იტალიურ კლუბს ყველაზე მეტი – 17 ქულა და 1 მოხსნა შესძინა. შედეგად ბოლონიელებმა მხოლოდ მერლიონის ალბას გაუსწრეს, ხოლო ოთხთა ფინალში გასასვლელად მორიგ ეტაპზე ბრძოლას შემდეგი ათეული გააგრძელებს:

პლზო-ოფი: ოლიმპიკოსი, ფენერბახე, პანათინაიკოსი, მონაკო, ბარსელონა, ფეხბურთი.

პლზო – 060: რეალი, მაიენი, პარიზი, ცრენა ზეზელა.

ამასობაში მორიგი შედეგიანი შეხვედრები

შქონდათ მზა-ს ქართველ ლეგიონერებსაც: ორლანდოს ინდიანაში მოგებულ მატჩში 11 ქულითა და 7 მოხსნით ლირსეულად შევნიშნავთ **გოგა ბიბაძე**, ხოლო **სანდრო მამუკელაშვილს** უფრო შთამბეჭდავი სტატისტიკა ჰქონდა სან-ანტონიოს წაგებულ შეხვედრაში ფინიქსში – 19 ქულა და 9 მოხსნა.

ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგის პირველი მეოთხედ-ფინალური რაუნდის საუკეთესო მოთამაშე **ხეიჩა კვარაცხელია** ოქროს ბურთის ნომინანტთა რჩეულ ათეულში უფრო მე-8 პოზიციაზე გააჩნეს და ლეგანდოსკი – კეინზე წინ დააყენა.

შეგახსენებთ, რომ მსგავს გამოკითხვაში ჩვენთვის ისტორიულ 1981 წლის სპორტულ სეზონში **რამაზ შენგელია** მე-7, **ალექსანდრე ჩივაძე** მე-10, ხოლო **დავით ყიფიანი** მე-11 ადგილები დაიშასხურეს.

რაც შეეხება პარი სენ-ჟერმენს, ლიგა – 1-ში ვადაძლევი ტრიუმფის შემდეგ **ლუის ენრიკეს** გუნდს ნანტთან უმოტივაციო მატჩი 22 აპრილისთვის გადაუტანეს, ასტონ ვილასთან პლეი-ოფის საპასუხო შეხვედრა კი ბინმინგემში ხვალ გაიმართება და 23 საათზე დაიწყება.


ამასობაში ესპანურ ლა ლიგაში მე-7 მხრალი ბრძოლა ჩაატარა **გიორგი მამარდაშვილმა**, რომლის ვალენსიამაც 2017 წლის შემდეგ პირველად მოუგო საშინაო ჯახი სევილიას – 1:0 და საბოლოოდ დააღწია თავი სატურნირო ცხრილის სახიფათო ზონას.

იმავე საღამოს დრამატულად განვითარდა მოვლენები იქაური მეორე დივიზიონის ერთ-ერთ ლიდერ ლეგანტესა და კორდობას დუელში, რომელიც ფრედ – 2:2 დასრულდა. აღსანიშნავია, რომ ელიტაში აღზევების მოსურნე **გიორგი ქორაშვილის** პარტნიორები 93-ე წუთზე დანინაურდნენ, მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, 97-ე წუთზე მასპინძლებს ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცეს და ძვირფასი ქულები დაკარგეს.

გემასხორემათ, რომ ზაფხულიდან მამარდაშვილი ლიგერპულში გადადის, ხოლო ქორაშვილი – ლისაბონის სპორტინგში.

ჭიდაობა

ბრატისლავა (სლოვაკეთი). გერმანულ-რომაული სტილი. ევროპის ჩემპიონატი. **ვერცხლი** – რამაზ ნოზაძე, **ბრინჯაო** – ვახტანგ ლოლუა.



იტალიის ქალაქ ლინიანო-სამიადორაში გაიმართა ევროპის XIV ჩემპიონატი შოტოკან კარატეში, რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდმა მიიღო მონაწილეობა.

ტურნირზე, სადაც 30 ქვეყნის 3000-ზე მეტი სპორტსმენი ასპარეზობდა, **მზაშაშვი მასარაძე** 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ინდივიდუალური კუმიტეს აპსოლუტურ წონით კატეგორიაში და უფროსებს შორის ინდივიდუალურ კატაში. ფორუმის ორგანიზატორი იყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შოტოკან კარატეს მსოფლიოს ფედერაცია (SKD-UN), რომლის პრეზიდენტი აურალ პეტრუ (VIII დანი).

ნარმატებით იასპარეზა აგრეთვე 12-13 წლიანებს შორის ინდივიდუალური კუმიტეს –59 კგ. წონით კატეგორიაში **ანდრია საბაშაშვილმა**, რომელმაც ასევე III ადგილი დაიკავა.

საქართველო უპილიპით!

თანამედროვე ქართული ფეხბურთის აღორძინების მთავარ შემოქმედს, ეროვნული ნაკრების აღიარებულ ლიდერს, მშობლიური ოდაბადეს ლირსეულ შვილს **ხვიჩა კვარაცხელიას** სულითა და გულით ვულოცავ მემკვიდრე დამიანეს შეძენას, საფრანგეთის ვადაძლე ჩემპიონობას, ოქროს ბურთის პრესტიჟული გამოკითხვის ნომინანტობას და ვუსურვებ შესანიშნავი სეზონის უფას ჩემპიონთა ლიგაში ტრიუმფით დაგვირგვინებას.

ფეხბურთის 92 წლის ბუღმეზაბიძარი **სოსო ნაყოფია**.

მინაწერი: აღნიშნულ ფოტოზე თქვენ ხედავთ ბატონ სოსოს ბროლის იმ სამასსოვრო პრიზით, რომელიც ჯაროსანთა ბოლოდროინდელ სანაკრებო წარმატებათა ნიშნად მიავს საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას. ეს ძვირფასი ანტიკვარული რელიქვია ნახევარი საუკუნის წინათ დაბადების დღეზე იუბილარს ნაყოფიების საგვარეულოს სახელით გადაეცა საჩუქრად.

ბრინჯაოს კოლექცია



საიგედორობის სიგეოლო


დაახლოებით ნახევარი საუკუნეა, გვხვდის: მან მუსიკა დაქვეყნა; მან ჰაიში დაქვეყნა.

დაკეტავდა, ამა რა, თორემ რომ ვერ დაეკეტა, ისე ვინ ათამაშებდა სამჭოთა კავშირის ნაკრებში 49-ჯერ? ან როგორ მოიპოვებდა ევროპის ჩემპიონატის ვერცხლისა და ოლიმპიადის ბრინჯაოს მედლებს? აღარაფერს ვამბობთ საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოზე.

მართალია, **რეზა მამუკაშვილი** ხანგრძლივი სასახელო კარიერა უტრეტულოდ დაასრულა, მაგრამ ფეხბურთის ისტორიის მისი სახელი მცველის ეტალონის სინონიმად შემორჩა, რომელიც მშობლიური ქუთაისის ტორპედოსა და თბილისის დინამოს მაისურითაც არაერთხელ დასახელდა სამჭოთა კავშირის 33 საუკეთესო ფეხბურთელის სიაში და მრავალი უცხოური გამოცემის მიერ გამოქვეყნებული ევროპის სიმბოლური ნაკრების წევრობაც დაიმსახურა ლეგენდარულ პარტნიორთან – **მურთაზ ხერცილაშვილთან** ერთად.

და მაინც, რამ განაპირობა ჩაუქრობელი რიონისპირელი ვარსკვლავის მარადიული საერთაშორისო ავტორიტეტი?

„მის მარჯვანა ფლანგზე და-



ვაში ყველაფერი წესრიგში იყო. ამასთან, იგი შესანიშნავად ერთვებოდა იერიშებში და მიუხედავად იმისა, რომ ხშირად ავალებდნენ მეტოქეთა ლიდერების პერსონალურ მეურვეობას, რასაც ბრწყინვალედ ართმევდა თავს, შეტევითი ოპერაციებში აქტიურად ჩართვას მაინც სისტემატურად ახერხებდა“.

„ძოქაშვილი არასდროს კადრულობდა ბინძურ თამაშს. მისი კონკურენტი თავდამსხმელები დარწმუნებული იყვნენ, რომ მათ არც კოჭებში ჩარტყმა ელოდათ და არც მაისურში ხელის ჩავლევა. დიახ, ჩვენი საამაყო თანამემამულე პატიოსანი, ვაჟკაცური ბრძოლის ერთგული გახლდათ. ამას ისიც ემატებოდა, რომ არასოდეს ჰყრიდა ფარ-ხმალს და წაგებულ შეხვედრებშიც კი ბოლომდე მომილინება გამოარჩევდა“.

ზემოთ კი ვთქვით, რეგალიები აკლდა, მაგრამ მთლად ბოლომდე მართლები არ უნდა ვიყოთ, რადგან თბილისის დინამოს მიერ სამშობლოში 1973 წელს ესპანეთიდან პრესტიჟული კარაველას თასით დაბრუნება, როცა ატლეთიკო და ბენფიკა დაეაჩოქეთ, არა გვგონია რომელიმე ოფიციალურ მიღწევას ბევრად ჩამოუვარდებოდეს.

არანაკლებ დასაფასებელია იმ თაობის მიერ ევროტურნირებისკენ გატრიალი ფანჯარა, რაც უფას თასის გათამაშებაში დებიუტით გამოიხატა, სათავე რომ დაუდო მოგვიანებით დიუსელდორფის ტრიუმფს.

მოკლედ, ვინატროთ, რომ რევამ ძოქაშვილის კალიბრის დიდოსტატი, ანუ ბურთის ართმევის ჩინებული ტექნიკით, პოზიციური ალღოთი, სისწრაფითა და კორექტულობით მაღლმოსილი უკანახაზელები არ მოჰკლებოდეს საფეხბურთო სამყაროს, სადაც მან სამწვრთნელო ასპარეზზე თქვა ლირსეული სიტყვა.

თაობათა პრეს 80 წლის სასახელო იუბილეს ვულოცავთ. ილდუმრქალეთ, მშობრასო მისი!

ყინულზე – აპრილში

საქართველოს პოკეისტთა ეროვნულმა ნაკრებმა 2025 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მე-2 დივიზიონის B ჯგუფში ასპარეზობისთვის მზადება დაიწყო.

შეკრება თბილისში, ახალდაშენებულ საერთაშორისო სტანდარტების ყინულის არენაზე მიმდინარეობს. ჩვენი გუნდი როგორც ადგილობრივ ჩემპიონატში მოასპარეზე მოთამაშეებით, ასევე ლეგიონერებითაც დაკომპლექტდა.

ტურნირი 27 აპრილიდან 3 მაისის ჩათვლით ახალი გელანდიის ქალაქ დანიდინში გაიმართება. გამარჯვებული ნაკრები მეორე დივიზიონის A ჯგუფში დანინაურდება. საქართველოს ნაკრების მეტოქეები ისლანდია, ფავორიტად მიჩნეული მასპინძელი ახალი ზელანდია, ბულგარეთი, ჩინეთის ტაიპეი და ტაილანდი არიან. შარშან ჩატარებულ ტურნირზე ჩვენმა ქვეყანამ მეორე ადგილი დაიკავა, წელს კი A დივიზიონში დანინაურებას ეცდება.

მატჩების განრიგი:

- 27 აპრილი.** 08:30. საქართველო – ისლანდია.
- 28 აპრილი.** 12:00. საქართველო – ახალი ზელანდია.
- 30 აპრილი.** 08:30. საქართველო – ბულგარეთი.
- 2 მაისი.** 05:00. საქართველო – ჩინეთის ტაიპეი.
- 3 მაისი.** 05:00. საქართველო – ტაილანდი.

ჩვენი ნაპრების ურთიერთშეხვედრები მომავალ მატჩებთან:

- საქართველო – ისლანდია.**
- 3 თამაში,** 2 მოგება. 1 მარცხი.
- საქართველო – ახალი ზელანდია.**
- 2 თამაში,** 2 მარცხი.
- საქართველო – ბულგარეთი.**
- 6 თამაში,** 3 მოგება. 3 მარცხი.

- საქართველო – ჩინეთის ტაიპეი.**
- 2 თამაში,** 2 მოგება.
- საქართველო – ტაილანდი.**
- 1 თამაში,** 1 მოგება.

სანთელი

კვალი სიკეთისა და სიყვარულისა

კიდევ ერთი გამორჩეული კაცი წავიდა იმიერში! სამშობლოს, ერის, ოჯახის, მეგობრების, ადამიანების მოყვარული, უხმაუროდ სიკეთის მომსახურე, სხვისი ამავეს დამფასებელი, – ასეთად იცნობდნენ სულთან (სოლომონ) ინაიშვილს, – ნაღვსა და დიდი გულის კაცს, რომელმაც სახელოვანი ცხოვრების გზა განვლო ისე, როგორც რჩეულთა ხვედრია.

სულიკო (სოლომონ) ინაიშვილი დაიბადა 1934 წლის 13 ივლისს, ქობულეთის რაიონის სოფელ კვირიკეში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ჩაირიცხა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის რუსული ენისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე, რომლის წარჩინებით დამთავრებისთანავე მუშაობა დაიწყო კვირიკეს საშუალო სკოლაში რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. საოცარი პიროვნული ხიზლით, პროფესიონალიზმით, ნიჭიერებით, გამორჩეული ცხოვრების წესით, პრომისმოყვარეობით აღრეული ასაკიდანვე გახდა იგი ფართო საზოგადოებისთვის ესოდენ პოპულარული. 1958 წელს, 24 წლის ასაკში, ს. ინაიშვილი აირჩიეს ქობულეთის კომკავშირის რაიონული კომიტეტის პირველ მდივნად. აღსანიშნავია, რომ იმ დროისთვის ის იყო ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა კომკავშირის რაიონის პირველი მდივანი მთელი საბჭოთა კავშირის მასშტაბით. მან დროის გამოწვევა მიიღო და დროსთან ხშირად უთანასწორო ბრძოლაში არ დამარცხებულა, პირიქით, დროს რამდენიმე ნაბიჯითაც კი გაუსწრო.

70-ან წლებში საქართველოში მოვიდნენ ახალი თაობის ხელმძღვანელი პარტიული მუშაკები, უფრო მოქნილი, მრავალპლანიანი, უფრო ინტელექტუალური და რეალისტური ხდებოდა მოღვაწეობა. ეს იყო ურთულესი პროცესი, რომლის მართვა მოითხოვდა დიდ დიპლომატიურ ნიჭს, მოქალაქეობრივ გამბედეულობას და პირად სიმამაცეს. ამ პერიოდისთვის ბატონ სულიკოს უკვე დამთავრებული ჰქონდა მეორე, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი. სწორედ ამ წლებში ხელმძღვანელ პარტიულ, სამეურნეო თანამდებობით მოველინა აჭარას ნიჭიერი, პრომისმოყვარე, ახლის მაძიებელი, ადამიანური ღირსებით დაჯილდოებული სულიკო ინაიშვილი. სხვადასხვა პერიოდში ის მუშაობდა საქართველოს კომპარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის ინსტრუქტორად, ქობულეთის პარტიულ-სახელმწიფო კონტროლის თავმჯდომარედ, ქობულეთისა და ხელვაჩაურის რაიონული კომიტეტების პირველ მდივნად.

ბატონ სულიკო ინაიშვილის მოღვაწეობა აჭარაში უკავშირდება იმ ეპოქალურ გარდაქმნებსა და წინსვლას, რომელიც საქართველოში 1972 წლიდან დაიწყო.

დღევანდელი გადასახედიდან თუ სამართლი-

სულიკო (სოლომონ) ინაიშვილის ხსოვნას



ანობის, პატიოსნების და კეთილსინდისიერების თვალთახედვით შევაფასებთ, დავინახავთ, რომ ადამიანისა და საზოგადოების სოციალური, კულტურული, პოლიტიკური და ინტელექტუალური განვითარების დონით იმ პერიოდის ხელმძღვანელთა მემკვიდრეობა ხელს უწყობს, აზროვნებისა და ცოდნის მაღალი კულტურაც განაპირობებდა.

სულიკოს (სოლომონის) მთელი ცხოვრება და მოღვაწეობა ნათელი მაგალითია ქვეყნის აღმშენებლობის, ერთგულების, თავისი სამშობლოსა და ხალხის უანგარო სამსახურისა. ყველგან და ყოველთვის, რიგით სამუშაოზე თუ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრად (1982-1991წწ.) და შემდეგ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ, სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის თავმჯდომარედ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარედ, აჭარის ა. რ. განათლების მინისტრის (1991-1992წწ.) მაღალ თანამდებობაზე, სულიკო ინაიშვილს გამოარჩევდა პროფესიონალიზმი, კომპეტენტურობა, უმაღლესი ზნე-

ობა და რაც ყველაზე მთავარია – უბრალოება და ადამიანობა, რაშიც მას იცავდა გენეტიკური კოდი სიყვარულისა და ნებისყოფისა, დედ-მამისაგან მემკვიდრეობით რომ მოსდგამდა, რომლებიც ადამიანების სიყვარულს ასწავლიდნენ და შთაუბერებდნენ ყველა კეთილშობილურ გრძნობებს და, რომლის გვირგვინადაც სიკეთესა და პატიოსნებას მიიჩნევდნენ. ამ სულისკვეთებით, უმაღლესი ზნეობისა და კეთილშობილების დიდებული ნიშნებით აღზარდეს ბატონმა სულიკომ და მისმა უსათნოესმა და უკეთილშობილესმა მეუღლემ, ქალბატონმა ციური ნიჟარაძემ შვილი ჯემალ ინაიშვილი, რომელიც თავის ძალასა და ენერგიას, სიბოძისა და სიყვარულს დაუნახებლად უნანილეს გარშემო მყოფთ, უკლებლივ ყველას, ვისაც სჭირდება.

მადლობელი ვართ იმ ათწლეულებისა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ბატონი სულიკოს მეგობრებად ვრაცხდით თავს, რომ ჩვენს შორის არსებობდა ის ენით უთქმელი კეთილი განწყობა და სათნოება, რომელსაც ვერ დავივიწყებთ და მარად ჩვენში იქნება.

სულიკო ინაიშვილთან ერთად, ჩვენი სამეგობროს ბოლოდროინდელმა ხშირმა თავშეყრამ, ნათლად დაგვანახა, თუ როგორ გვჭირდება ერთმანეთთან ყოფნა, როგორ სუფთა იყო ჩვენი ერთი-ერთობები, რომ ვერავითარი ძალა ვერ შეძლებდა ჩვენში შესისხლხორცეზულ ურთიერთსიყვარულს და ურთიერთპატივისცემის დარღვევას. სულიკო ერთი იმთავანია, ვინც გარდაიცვალა, ვინც ვალდობითი წავიდა, მაგრამ ცხოვრებიდან არ მიდის, სამუდამოდ რჩება მეხსიერებაში. სულიკომ კარგად იცოდა, რომ „სიკვდილი ეს არ არის დასასრული, არამედ თითოეული ქრისტიანისათვის ეს არის დასაწყისი უფრო დიდი ცხოვრებისა, ქრისტესთან შეხვედრისა“. სწორედ ამ რწმენით და სულისკვეთებით გამოეთხოვა იგი ამ წუთისოფელს მარადიულ სასუფეველში ქრისტესთან შესახვედრად.

ბატონი სულიკო 2019-2023 წლებში იყო ხინონმინდის უხუცესთა საბჭოს საზოგადოების თავმჯდომარე. 1993 წლიდან ხელმძღვანელობდა ბათუმის და ლაზეთის ეპარქიასთან არსებულ მისია ევანგელიზაციას. იყო ჟურნალ „გზა ტაძრისკენ“ რედაქტორი და ამავე სახელწოდების წიგნის ავტორ-გამომცემელი. სულიკო-სოლომონ ინაიშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი სახელმწიფო ორდენით და ჯილდოთი, იყო სსრკ შეიარაღებული ძალების თადარიგის ვიცე-პოლკოვნიკი.

ძნელია იმის გაცნობიერება, რომ სულიკო ინაიშვილი, ეს სულით ხორცამდელ ქრისტიანი კაცი, ჩვენს შორის აღარ არის. ნუგეშად გვჩვენა მხოლოდ მის მიერ ამ ქვეყნად უხვად დატოვებული სიბოძე, სიყვარული, სიკეთე და კაიკაცობა. უფალმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

მემოპრაპი

ქართველი ჯარისკაცების მონუმენტები ქუჩულ ტაძალზე



საქართველოს პარლამენტის თავდაცვის და უშიშროების კომიტეტის წევრები ზვიად შალამბერიძე და გრეგოტა წიწავა ნიდერლანდების სამეფოში, ქუჩულ ტექსელზე, 1945 წლის აჯანყებისას გმირულად დაღუპული ქართველი ჯარისკაცების სსოგნისადმი მიძღვნილი მონუმენტის გახსნის ცერემონიაზე დაესწრნენ და დიასპორის წარმომადგენლებს შეხვდნენ.

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს პარლამენტის პრესსამსახური ავრცელებს.

მათივე ცნობით, ქუჩულ ტექსელზე, ქართველთა სასაფლაოზე მონუმენტის აღმართვის იდეის ავტორი, ფინანსური მხარდაჭერი და ღონისძიების ორგანიზატორი, ნიდერლანდების სამეფოს ქართული კულტურის ცენტრის დამფუძნებელი და ფონდ „დიასპორების ალიანსი

საქართველოსთვის“ პრეზიდენტი თინათინ შანშიძე-შენკოა.

„მას იდეის განხორციელებაში ტექსელის მერიამ, ნიდერლანდების თავდაცვისა და კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტროებმა დაუჭირა მხარი. აღნიშნული ღონისძიება ეძღვნებოდა მეორე მსოფლიო ომის დასრულებიდან მე-80 წლისთავს, ასევე ნიდერლანდების სამეფოში ქართული კულტურის ცენტრისა და ამსტერდამის ჯვართაბაღების ეკლესიის დაფუძნების 10 წლის იუბილეს.

ღონისძიებას, ასევე, ესრეზოდნენ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, ვეტერანების საქმეთა სახელმწიფო სამსახურის, საერთაშორისო დელეგაციების, ქუჩულ ტექსელის მერიის, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ტექსელის აჯანყებაში დაღუპულ მეთომართა შთამომავლები. ტექსელის ქართველთა აჯანყების დროს დაღუპულ მეთომართა სულის მოსახსენებელი პანაშვიდი გადიხადა საქართველოს საპატრიარქოს ბელგიისა და ჰოლანდიის ეპისკოპოსმა მეუფე დოსითეოსმა (მოგვერძებ)“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

ტრაგედია დაბადების დღეზე


მსკოზარეზის ოჯახმა, ქალიშვილისა და დედის დაბადების დღის აღნიშვნა ამერიკაში, კერძოდ ნიუ-იორკში გადწყვიტა. იმ დღეს გოგონას 9 წელი შეუსრულდა, დედამისის მერს მონტალის კი – 40.

მათთან ერთად შეველმფრენში იმყოფებოდნენ გოგონას და-ძმა და მამა, Simensis აღმასრულებელი დირექტორი ავგუსტინ ესკობარი.

ხუთსულიანი ოჯახი, რომელიც ბარსელონიდან სპეციალურად ამ დღის აღსანიშნავად იყვნენ ოკეანის გაღმა ჩასულები, ვერტმფრენის აფრენიდან 16 წუთში დაიღუპა – დაზიანებული საფრენი აპარატი, რომელსაც კუდის მონაკვეთი მოსწყდა, მდინარე ჰუდონში ჩაეარდა.



ეროვნული არქივი კახი კავსაძის საიუბილეო გამოფენას მასპინძლობს



კახი კავსაძის დაბადებიდან 90 წლის იუბილე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნულმა არქივმა გამოფენით აღნიშნა. მსახიობის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი ექსპოზიცია ეროვნული არქივის საგამოფენო პავილიონში 11 აპრილს გაიხსნა.

„გამოფენაზე წარმოდგენილია კახი კავსაძის ცხოვრებისა და შემოქმედების ამსახველი 100-მდე ფოტო როგორც ეროვნული არქივის, ისე მსახიობის საოჯახო ფოტოკოლექციიდან. საიუბილეო ღონისძიება ეროვნული არქივის გენერალურმა დირექტორმა თეონა იაშვილმა გახსნა. მსახიობის შვილმა ირაკლი კავსაძემ, ძმამ იმერი კავსაძემ, ასევე კახი კავსაძის კოლეგებმა და მეგობრებმა მისი მრავალმხრივი შემოქმედების შესახებ ისაუბრეს. კახი კავსაძის სამსახიობო კარიერა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო დრამატულ



თეატრში 1959 წელს დაიწყო. მსახიობს შესრულებული აქვს 100-მდე კინო და 30-ზე მეტი თეატრალური როლი. მის კინოროლებს შორის გამორჩეულია: ინოჩენცი („ვერის უბნის

მელოდიები“, რეჟისორი გიორგი შენგელაია, 1973 წელი), სელიმი („ერთი ნახვით შეყვარება“, რეჟისორი რეზო ესაძე, 1975 წელი), იორაბი („ნატვრის ხე“, რეჟისორი თენგიზ აბულაძე, 1976 წელი), კოლა („სიყვარული ყველას უნდა“, რეჟისორი: გიორგი შენგელაია, 1981 წელი), მიხეილ კორიშვილი („მონანიება“, რეჟისორი თენგიზ აბულაძე, 1984 წელი), დონ კიხოტი („ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“, რეჟისორი რეზო ჩხეიძე, 1989 წელი) და სხვა.

ფოტოებთან ერთად გამოფენაზე წარმოდგენილია კოსტიუმები სპექტაკლებიდან „მონუქი ჯამბაზე“ და „პატარა უფლისწული“, ასევე კინოფილმის „ცხოვრება დონ კიხოტისა და სანჩოსი“ რეკვიზიტები – დონ კიხოტის ხმალი და ქუდი. გამოფენა 20 მაისამდე გაგრძელდება. დათვალიერება თავისუფალია“.

საქართველოს სამართლებრივი

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სვანტაჰა ქობულია
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაძიძე
(597-22-07-04)

შემოქმედებით ჯგუფი:
ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი.

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
კახა ქორიძე.

სტილისტი-კორექტორები:
ნაირა კვკელია,
მაია იორამაშვილი.

ოპერატორი
შორენა გვილია.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი.

მისამართი:

თბილისი,
აკაკი წერეთლის №116

წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ მისამართზე:
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის აზრი,
შესაძლოა, არ ემთხვეოდეს
პტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს სოციალური
ქსელიდან და სხვა
მედია-საშუალებებიდან
გადმოგზავნილ, ან უსხოური
პრესიდან თარგმნილ
მასალების, ფაქტების,
ინფორმაციის სიზუსტეზე.

იბეჭდება სტამბა
„ქოლორში“
ე. ბაღდაძის №3

„კოდორი“
ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)
C-323



**რეკლამისთვის
დარეკეთ:**
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ნაგებობა თანხა
ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG000000538329790

**გაზეთის
მოგზავნა
ნოვარი გამოვა
ოთხშაბათს,
16 აპრილს**

გიორგი ბაგუნია:

**სახელმწიფო კამერული
გუნდი, იგივე ყოვლადწმიდა
სამების საპატრიარქო ტაძრის
საპატრიარქო გუნდი
დღეს არის უიზონი!**



„სახელმწიფო კამერული გუნდი, იგივე ყოვლადწმიდა სამების საპატრიარქო ტაძრის საპატრიარქო გუნდი დღეს არის უიზონი, უიზონი“, – ამის შესახებ საქართველოს პარლამენტის კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **გიორგი ბაგუნია** სამების საპატრიარქო სახელმწიფო კამერული გუნდის მიერ სოლო კონცერტის გამართვასთან დაკავშირებით განაცხადა. „სახელმწიფო კამერული გუნდი, იგივე ყოვლადწმიდა სამების

საპატრიარქო ტაძრის საპატრიარქო გუნდი დღეს დღესდღეობით არის უიზონი. გუნდმა, რომელიც 1998 წლიდან დღემდე პატრიარქთან გალობს და ღვთისმსახურებაში მონაწილეობს, განვითარების ძალიან რთული – გვერდი დამრკოლება, გვერდი სირთულით საგსე გზა განვლო. ფაქტია, რომ ეს გუნდი დღემდე მოვიდა და მოვიდა ასეთი საშემსრულებლო ღონით“, – განაცხადა **გიორგი ბაგუნია**.



იტალიის მნიშვნელოვანმა კინოარქივმა ქართულ კინოს უმასპინძლა

საფრანგეთის La cinemathèque-ის შემდეგ იტალიის ყველაზე მნიშვნელოვანმა კინოარქივმა – **CSC-Cineteca Nazionale**-მა ქართულ კინოს უმასპინძლა.

ეროვნული კინოცენტრის ინფორმაციით, მერაბ კოკოჩაშვილის „დიდი მწვანე ველი“ იტალიელი მსახიობის ნინაშე წარდგა და დიდი მოწონება დაიმსახურა. **La**

cinemathèque-სა და **CSC-Cineteca Nazionale**-ში ქართული ფილმების პროგრამირება დაიგეგმა და განხორციელდა ევროპაში საქართველოს კინოცენტრის წარმომადგენლის სოფია ბაბლუაშვილის მიერ.

პროგრამირებთან შესვენებისას საუბარი შეეხო ამ მნიშვნელოვანი კინოინსტიტუტების საქართველოსთან თანამშრომლობას.

პარიზის ჟიგნის ფესტივალი «გრან პალეში»

პარიზში „გრან პალეში“ (Grand Palais) პარიზის ზიგნის ფესტივალი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნის ცერემონიას საქართველოს კულტურის მინისტრი თინათინ რუხაძე, მინისტრის მოადგილე ზეკა დავითიშვილი და საფრანგეთის რესპუბლიკაში საქართველოს ელჩის მოვალეობის შემსრულებელი ეკატერინე კოკიაია დაესწრნენ.

კულტურის სამინისტროს ინფორმაციით, ფესტივალი საფრანგეთის კულტურის მინისტრმა რა-მიდამ დატოვა გახსნა. სტუმრებს შორის იყვნენ მონაკოს პრინცესა მარლოტა კაზირაგი, პარიზის ზიგნის ფესტივალის გენერალური დირექ-



ტორი პიერ-ივ ბერნეგე, ფესტივალის საპატიო სტუმარი ქვეყნის – მაროკოს, ასევე სხვადასხვა ქვეყნების საგამომცემლო და ლიტერატურული სფეროების წარმომადგენლები.

ფესტივალის ოფიციალური გახსნის ფარგლებში, საფრანგეთის კულტურის მინისტრი ქართველ კოლეგას გაესაუბრა. კულტურის მინისტრმა „გრან პალეში“ საქართველოს ეროვნული სტენდი დაათვალიერა, რომლითაც „მწერალთა სახლი“ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით, პარიზის ზიგნის ფესტივალზე უკვე მეორედ წარდგება.